# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.





დაარსებულია 1918 წელს.



შაბათი, 17 ოქტომბერი, 2015 წელი.

№195 (7840)



ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge



ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.




**ფატუ ბენსუდა: დანაშაული, რომელიც შესაძლოა, ჩადენილია საქართველოს ტერიტორიაზე, ჩვენი სასამართლოს იურისდიქციაში მოხვდება**

3

2

**ირაკლი ღარიბაშვილი: ინვესტირება საქართველოში ისევე უსაფრთხოა, როგორც ევროპის ნებისმიერ სხვა ქვეყანაში**



**ლევან ვასაძე: სოსო ჯაჭვლიანმა გადადგა უპრეცედენტო ნაბიჯი ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში!**

2



**ვანო ქილურაძე: არ დარჩენილა არც ერთი კუნძული, სადაც სააკაშვილის ხელის ბიჭებმა „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით ოფშორული კომპანიები არ გააფორმეს**

2



**პატრიარქი: ისეთი მაღალი სულიერება არსად არ მეგულება, როგორც ეს არის საქართველოში**

3

**ილია ჭავჭავაძიდან ამოულორტილი, მამულისთვის მსახურქმნილი კაცი**

**ჯანსუღ ღვინჯილია – 75**



6



5

**გვიხსნის მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმა ურბანული ქაოსისგან?**

## „ტაბულის“ რედაქტორის ახალი გამოხდომა



## თამარ ჩერგოლეიშვილს ახლადა აეხილა ნაციონალური თვალი?

რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოში „გაზპრომის“ საწინააღმდეგო აქციაზე პლაკატების გაკვრისას ჟურნალისტი თამარ ჩერგოლეიშვილი, მასთან ერთად ორი პიროვნება დააკავეს, შემდეგ კი ყველა ხელწერილით გაანთავისუფლეს. წესით, ეს ფაქტი საზოგადოებას აღაშფოთებდა, ნაციონალების ორმაგი სტანდარტებით თამაში რომ არა... ვინმეს გაუგია თამარ ჩერგოლეიშვილის საპროტესტო ხმა, როცა ნაციონალური მოძრაობა ქვეყნის ეკონომიკას რუსულ ბიზნესზე ჰყიდდა?! თუკი მაშინ პოლიტიკას და ეკონომიკას ერთმანეთთან შეხება არ ჰქონდა, ახლა რა შეიცვალა?! ნახეთ, იმ გაყიდული ობიექტების სია, რომელთაც ნაციონალები ასხვისებდნენ და რომელიც თამარ ჩერგოლეიშვილს არც ერთხელ არ გაუპროტესტებია:

1. ენგურჰესი (რუსული კომპანია „რაოესი“);
2. ჟინვალჰესი (რუსული კომპანია „რაოესი“);
3. რიონჰესი (რუსული კომპანია „ენერჯ ინვესტი“);
4. გუმბათი 1, გუმბათი 2 (რუსული კომპანია „ენერგო პრო“);
5. ლაჯანურჰესი (რუსული კომპანია „ენერგო პრო“);
6. შაორჰესი (რუსული კომპანია „ენერგო პრო“);
7. აჭარის წყალი (რუსული კომპანია „ენერგო პრო“);
8. ვარციხე 1 (რუსული კომპანია „ინტერ რაო“);
9. ვარციხე 2 (რუსული კომპანია „ინტერ რაო“);
10. ვარციხე 3 (რუსული კომპანია „ინტერ რაო“);
11. ვარციხე 4 (რუსული კომპანია „ინტერ რაო“);
12. ხრამი 1 (რუსული კომპანია „რაოესი“);
13. ხრამი 2 (რუსული კომპანია „რაოესი“);
14. ხრამი 3 (რუსული კომპანია „რაოესი“);
15. ხრამი 4 (აშენების ნებართვებიც „რაოეს“ ევალება ხელშეკრულებით)
16. ყაზტრანსგაზ თბილისი (რუსული კომპანია „გაზპრომი“);
17. გაზგამანაწილებელი კომპანია „იტერა“ (რუსული კომპანია „გაზპრომის“ შვილობილი კომპანიაა);
18. შავ ზღვაში ნავთობისა და გაზის მომპოვებელი ფირმა „ალექსი“ (რუსული კომპანია „გაზპრომის“ შვილობილი კომპანიაა);
19. გარდაბნის მე-9 ენერგო ბლოკი (რუსული კომპანია „ინტერრაო“);
20. გარდაბნის მე-10 ენერგო ბლოკი (რუსული კომპანია „ინტერრაო“)
21. მაღალი ძაბვის გადამცემი 500 კილოგრამი ხაზები (რუსული კომპანია „ინტერრაო“);
22. მადნეული (რუსული კომპანია „პრომიშელ ინვესტი“);
23. კვარციტი (რუსული კომპანია „პრომიშელ ინვესტი“);
24. საბორნე გადაზიდვები ფოთიდან და ბათუმიდან (რუსეთის რკინიგზა);
25. კომპანია „ბილაინი“ (რუსული კომპანია);
26. აზოტი (რუსული კომპანია „პრომიშელ ინვესტი“);
27. გაერთიანებული ქართული ბანკი (რუსული კომპანია „ვითიბი“);
28. ლუკოილი (რუსული კომპანია);
29. ზესტაფონის „ფერო“ (რუსული კომპანია „პრომიშელ ინვესტი“);
30. ელმავალმშენებელი ქარხანა (რუსული კომპანია „დემა კომპიუტერი“);
31. „არამიანცის“, თბილისის №1 საავადმყოფო (რუსული კომპანია „ბატუსი“);
32. თბილისის წყალი (რუსული კომპანია „ჯორჯიან ვოთერ პაუერი“).

## საქართველოს პრეზიდენტი ისრაელს ეწვევა



**საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და პირველი ლედი მაკა ჩიჩუა 18 ოქტომბერს სახელმწიფო ვიზიტით ისრაელს ეწვევიან.**

ისრაელის პრეზიდენტის სასახლეში საქართველოს პრეზიდენტის დახვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართება, სადაც ორი ქვეყნის პრეზიდენტი პირისპირ შეხვედრას გამართავს და მედიისათვის ერთობლივ განცხადებას გააკეთებს.

ქვეყნის პირველი პირი, სახელმწიფო ვიზიტის ფარგლებში, ისრაელის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრს, ბენიამინ ნეთანიაჰუს შეხვდება. გიორგი მარგველაშვილი ისრაელში ქნესეთსაც ეწვევა, სადაც გაიმართება შეხვედრები ქნესეთის თავმჯდომარე იული ედელშტეინსა და საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერ ჰაიმ ჰერცოგთან.

პრეზიდენტის და ქართული დელეგაციის სახელმწიფო ვიზიტი ისრაელში 20 ოქტომბერს დასრულდება.

## ირაკლი ღარიბაშვილი: ინვესტირება საქართველოში ისევე უსაფრთხოა, როგორც ევროპის ნებისმიერ სხვა ქვეყანაში

**ასე მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „თბილისის აბრეშუმის გზის“ ფორუმის მონაწილეებს.**

როგორც პრემიერმა განმარტა, მეტიც, საქართველოში ბიზნესმენების ხარჯები და გადასახადები უფრო დაბალი იქნება და მათ შეხვდებათ ნაკლებ მარეგულირებელი დაბრკოლება.

**„რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საქართველო განლაგებულია უზარმაზარი თავისუფალი სავაჭრო ქსელის გულში: ჩვენ გვაქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთან, თურქეთსა და რუსეთთან, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები აშშ-სა და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ. მე სულ ახლახან დავბრუნდი ჩინეთიდან, და მალე ჩვენ შეიძლება გავხდეთ პირველი ევროპული ქვეყანა, რომელსაც თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება აქვს ჩინეთთან.**

**ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენა განსაკუთრებულ დატვირთვას აძლევს საქართველოს მდებარეობას ევროპისა და აზიის ვაჭრობის გულში. საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სატრანზიტო ქსელებით შესაძლებელია ტვირთის ჩატანა ჩინეთიდან ევროპაში საზღვაო მარშრუტზე ბევრად უფრო სწრაფად. თავისუფალი სავაჭრო კავშირები კი საქართველოს შესაძლებლობას აძლევს, იყოს ერთ-ერთი მთავარი უტარიფო რეგიონალური დისტრიბუციის ცენტრი.**



**მარტივად რომ ვთქვათ, თქვენთვის ინვესტირება საქართველოში ისევე უსაფრთხოა, როგორც ევროპის ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, იმ განსხვავებით, რომ ჩვენთან თქვენი ხარჯები და გადასახადები უფრო დაბალი იქნება, შეგხვდებათ ნაკლებ მარეგულირებელი დაბრკოლება, ხოლო ამონაგები ბევრად დიდი იქნება“,** — მიმართა პრემიერმა ფორუმის მონაწილეებს.

სიტყვით გამოსვლის დასასრულს ირაკლი ღარიბაშვილმა აბრეშუმის გზის გაყოლებაზე ჩვენი მეზობლების მიერ საქართველოში ბოლო დროს განხორციელებული ინვესტიციების შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მათი მოცულობა ხაზს უსვამს ქვეყანაში არსებულ შესაძლებლობებს.

**„ჰუალინგ ჯგუფი, საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი ჩინური ინვესტორი, შემოვიდა ჩვენს ბაზარზე რამდენიმე წლის წინ. მას შემდეგ კომპანიამ განახორციელა ინვესტიციები სხვადასხვა სექტორში, მშენებლობისა და ფინანსების ჩათვლით. დღეს ჰუალინგის ინვესტიციების ჯამური ოდენობა 500 მილიონ დოლარს აღემატება. ჰუალინგი არის წარმატებული თანამშრომლობის იდეალური მაგალითი.**

**გარდა ამისა: ტატა ჯგუფმა (ინდოეთი), xktfy Energy 6nvest-მა (ნორვეგია) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ სულ ახლახან განახორციელეს 400 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიცია აჭარისწყლის პროექტში. კორეის წყლის რესურსების კორპორაცია და საქართველოს საპარტნიორო ფონდი განახორციელებენ ერთმილიარდიან ინვესტიციას ნესკრაჰესის მშენებლობაში. საქართველოში ფუნქციონირებს ტოიოტას (იაპონია) კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონალური ოფისი და დისტრიბუციის ცენტრი. კომპანიები Dhabi Group და RAKIA (არაბთა გაერთიანებული საამიროები) ახორციელებენ მნიშვნელოვან ინვესტიციებს სასტუმროების, უძრავი ქონებისა და სხვა პროექტებში“,** — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველოს მთავრობის მეთაურის შეფასებით, აბრეშუმის გზის გაყოლებაზე ჩვენი მეზობლების მიერ ჩადებული ბევრი ინვესტიცია ხელს უწყობს მზარდ ტურიზმის სექტორს საქართველოში, რადგან, მისივე თქმით, სწორედ ამ ქვეყნებიდან მოედინება ტურისტების მძლავრი ნაკადი.

**„ბოლო 11 წლის განმავლობაში უცხოელი ტურისტების რაოდენობა 18-ჯერ გაიზარდა, 310 ათასიდან 2003 წელს 5,5 მილიონამდე 2014 წელს. შარშან და შარშანწინ უცხოელ ტურსტთა რაოდენობამ გადააჭარბა საქართველოს მოსახლეობას.**

**გამოვთქვამ იმედს, რომ, ხსენებული ინიციატივების მსგავსად, დღევანდელი ღონისძიებაც გაუხსნის გზას ჩვენ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გააქტიურებას და გააღრმავებს თქვენს დაინტერესებას საქართველოთი.**

**პირადად მე გარწმუნებთ, რომ საქართველოს მთავრობა გაგიწევთ თქვენ, თქვენს პარტნიორებსა და ყველა უცხოელ ინვესტორს სრულ მხარდაჭერას საქართველოში ბიზნესის დაარსებისა და ამოქმედების საქმეში.**

**საქართველო არის სტაბილური, ძლიერი და ღია სახელმწიფო. ჩვენი თანამშრომლობა შედეგად მოიტანს მნიშვნელოვან ეკონომიკურ წარმატებას“,** — განაცხადა საქართველოს მთავრობის მეთაურმა.

⊙ დაველოდოთ „პარლამენტის მორალურ გამარჯვებას“...

## ლევან ვასაძე: სოსო ჯაჭვლიანმა გადადგა უპრეცედენტო ნაბიჯი ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში!

**ბიზნესმენი ლევან ვასაძე დეპუტატ სოსო ჯაჭვლიანის ინიციატივას ანტიდისკრიმინაციული კანონის ჩასწორების შესახებ მიესალმება.**

**როგორც ლევან ვასაძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სოსო ჯაჭვლიანის საკანონმდებლო ინიციატივა ძალიან მნიშვნელოვანია.**

— მინდა გამოვხატო ჩემი აღფრთოვანება სოსო ჯაჭვლიანის საკანონმდებლო ინიციატივის გამო, რომელმაც შეიტანა კანონპროექტი პარლამენტის მიერ მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონის ჩასწორების თაობაზე, საიდანაც ამოღებული უნდა იყოს გარყვნილების პროპაგანდისა და მისი რეკლამის მცდელობა. ამავე კანონპროექტში არის ინიცირებული გაუგებარი უცხოური ტერმინების ამოღება, როგორიც არის „გენდერული იდენტობა“ და მე ამის გამოც მადლობა მინდა გადავუხადო მას. ჩემი დამოკიდებულება ამ კანონის მიმართ ყველასთვის ცნობილია. ჩემი აზრით, დეპუტატმა ჯაჭვლიანმა გადადგა ნაბიჯი, რომელიც არის უპრეცედენტო, ვაჟკაცური ნაბიჯი ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში. თავის მხრივ, ის არ შეუშინდა არც პარტიულ კონიუნქტურას და მეორე მხრივ, ის არ შეუშინდა იმ დაცინვასა და გაქილიკების კამპანიას, რომლის ობიექტიც ის უკვე რამდენიმე ხანია, არის. მე არ ვიცი ყველა დეტალი, არ ვიცი EBRD რა ეგონა სოსო ჯაჭვლიანს, რომ მართლაც ეგონა თუ ხუმრობდა და კიდევ რა შეცდომები აქვს დაშვებული თავის საჯარო გამოსვლებში, ეს ნაკლებად მაინტერესებს, მაგრამ, მე, მომეწონა ეს ვაჟკაცური ნაბიჯი, — განაცხადა ლევან ვასაძემ.



მისივე განმარტებით, ჯაჭვლიანმა ამ საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტში გაავლო ხაზი ნამუსის ერთგულებასა და ნამუსის მიჩუმათებას შორის.

— იმედი მაქვს, რომ კიდევ მოინახებიან პარლამენტარები, რომლებიც ამ ინიციატივას მხარს დაუჭერენ. დიდი იმედი არ მაქვს ნაციონალური მოძრაობის და „რესპუბლიკური პარტიის“ და კიდევ ერთი-ორი ფრაქციის, მაგრამ იქ ჩვენი მეგობრები სხედან, მინდა მათ კიდევ ერთხელ წაიკითხონ ეს კანონი და ჰკითხონ ერთმანეთს, შეესაბამება თუ არა ეს იმ ნორმებს, რომელშიც მათ ზრდიდნენ მშობლები, — განაცხადა ლევან ვასაძემ.

მისივე განმარტებით, ანტიდისკრიმინაციული კანონი პარლამენტში ხელოვნურად ნაჩქარევად მიიღეს.

„ძნელად თუ მოიძებნება დემოკრატიული ქვეყნების ისტორიაში ისეთი შემთხვევები, როდესაც ლიბერალიზმისთვის 10 მცნება აღარ არის ერთმნიშვნელოვნად მისაღები დოქტრინა და მისი ცალკეული დებულებები საკამათოა და როგორ შეიძლება კანონი იყოს უკამათო და ის როგორც ჩრდილოეთ კორეაში, ან საბჭოთა კავშირში იყო, ერთხმად იქნეს მიღებული. მისი ასე მიღებით, ჩვენმა პარლამენტმა ეს კანონი მკვდრად შვა და ის ფაცი-ფუცი და ნერვიულობა, რომელიც ახლა მოჰყვა ჯაჭვლიანის ინიციატივას, ძალიან კარგად ახასიათებს აგრესიულ ლიბერალიზმს, როგორც ტოტალურ რელიგიას. ანუ ერთი მხრივ, ის ამბობს, რომ აზრთა სხვადასხვაობა ნორმალურია და მეორე მხრივ, ის მოითხოვს სრულ მორჩილებას თავისი დოგმების მიმართ. ჩემი აზრით, ეს არის სრულიად წინააღმდეგობრივი პოზიცია. მე არ ვარ ექსპერტი საკანონმდებლო პროცესებში, არ ვიცი, რა მოყვება ამას, თუმცა, მე ვხედავ მცდელობას, რომ ჩაფარცხონ და მიაჩუმათონ ეს ფაქტი. იმედი მაქვს, იმ ზეწოლის მიუხედავად, რომელსაც განიცდის ეს კანონი, განხილვაზე გავა და ის, რომ მარტო ჯაჭვლიანმა დააჭიროს ღილაკს ხელი, იქნება ქართული პარლამენტის მორალური გამარჯვება“, — განაცხადა ლევან ვასაძემ.

შეგახსენებთ, რომ კანონპროექტის ავტორია „დემოგრაფიული განვითარების ფონდი“.

⊙ ინფორმაცია

### ჩაფიძემ ამნეზირებული გოკას მკურნალობა დაიწყო

**ნიკა გვარამია თავისუფალი ჟურნალისტიკის სიმბოლო არ არის — ის პოლიტიკური აქტივისტია, — აღნიშნული განცხადება დეპუტატმა ელისო ჩაფიძემ პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე გააკეთა, სადაც მედიასაშუალებებთან დაკავშირებით ნაციონალური მოძრაობის მიერ ინიცირებულ განცხადების პროექტი განიხილეს.**



**ჩაფიძემ საკითხის წარმდგენ გოკა გაბაშვილს მიმართა კითხვით, რატომ არ გაუჩნდა რეზოლუციის მომზადების სურვილი 2007 წლის 7 ნოემბერს ტელეკომპანია „იმედში“ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ასევე რატომ არ დაინტერესდა 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისას ხურჩის აფეთქების შესახებ „რუსთავი-2“-ში გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით, სიღნაღის რაონში ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების მიერ პირადად მისი, როგორც ჟურნალისტის ცემის ფაქტზე და 2011 წელს ჟურნალისტების დაკავებასთან დაკავშირებით.**



**„ჟურნალისტიკა აქტივისტების საქმიანობა არ არის. არც ერთმა ჟურნალისტმა არ უნდა აკადროს საკუთარ თავს, წავიდეს პოლიტიკაში, შემდეგ დაბრუნდეს უკან და ასე შემდეგ. მაპატიეთ, მაგრამ ნიკა გვარამია თავისუფალი ჟურნალისტიკის სიმბოლო არ არის. ნიკა გვარამია არის პოლიტიკური აქტივისტი — პროკურორი ნიკა გვარამია, რომელიც 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ საკმაოდ სერიოზული განცხადებებით გამოირჩეოდა და ფილმებს იღებდა ტელეკომპანია „იმედზე“, სადაც იარაღით მუქარის ქვეშ ფეხმძიმე ჟურნალისტები სწორედ თქვენს ხელისუფლებას ჰყავდა გართხმული და საუბრობდა იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ჟურნალისტები სახელმწიფო გადატრიალებას აპირებდნენ“, — განაცხადა ჩაფიძემ.**

### არ დარჩენილა არც ერთი კუნძული, სადაც სააკაშვილის ხელის ბიჭებმა „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით ოფშორული კომპანიები არ გააფორმეს

**თუ წარმოიშვება ეჭვი იმის შესახებ, რომ ეროსი კიწმარიშვილს სიცოცხლე მოუსწრაფეს, ეს ეჭვი უნდა გაჩნდეს იმის მიმართ, ვინც კიწმარიშვილს „რუსთავი-2“ წაართვა, — ასეთი შეფასება დეპუტატმა ვანო კიღურაძემ პარლამენტის სხდომაზე გააკეთა.**

**კიღურაძემ „რუსთავი-2“-ის მფლობელთა ცვლილებებზე და ამასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრის მონაცემებზე გაამახვილა ყურადღება.**

**„10 წლის მანძილზე, 1994 წლიდან 2004 წლის ჩათვლით წილები თანაბრად ჰქონდათ განაწილებული კომპანიის დამაარსებლებს: ეროსი კიწმარიშვილს, დავით დვალს და ჯარჯი აქიმიძეს. 2004 წელს პაატა ყარსანიძემ შეიძინა. ვინ არის პაატა ყარსანიძე, ღმერთმა იცის და მან იმავე დღეს გაყიდა იგი. ამის შემდეგ აბსურდის თეატრი იწყება. არ დარჩენილა ოფშორული ზონა, არც ერთი რეალურად არსებული თუ ჩაძირული კუნძული, სადაც მიხეილ სააკაშვილის ხელის ბიჭებს არ გაუფორმეს კომპანიები. ამის შემდეგ მოხდა „რუსთავი-2“-ის წილების გადანაწილება, მისი ყიდვა- გაყიდვა ოფშორულ კომპანიებს შორის“, - განაცხადა კიღურაძემ.**

**მან ოპოზიციონერ კოლეგებს მიმართა, „კიწმარიშვილის მკვლელი მოიკითხონ მასთან, ვისაც ხელები აქვს გასვრილი სანდრო გირგვლიანის, ზურაბ ვაზაგაშვილის, ბუტა რობაქიძის მკვლელობაში და მოიკითხონ იქ, სადაც პრემიერ ზურაბ ჟვანიას, რაულ უსუპოვის და ლევან სამხარაულის მკვლელობა შეუკვეთეს“.**

# ისეთი მაღალი სულიერება არსად არ მეგულება, როგორც ეს არის საქართველოში



**ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სტუმრობისას განაცხადა.**

უნივერსიტეტში მოსკოვში გამოცემული წიგნის Раб Божий-ს წარდგინება შედგა, რომელსაც პატრიარქთან ერთად წმინდა სინოდის წევრები, მღვდელმთავრები, სასულიერო პირები, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, ასევე რუსეთიდან ჩამოსული სტუმრები ესწრებოდნენ. კერძოდ, წმინდა ტიხონის სახელობის მართლმადიდებლური უნივერსიტეტის რექტორი, დეკანოზი ვლადიმერ ვორობიოვი, რომლის მეშვეობითაც წიგნი Раб Божий სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ცხოვრების შესახებ მოსკოვში დაიბეჭდა.

შეხვედრაზე, პატრიარქის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გამოცემულ წიგნთან დაკავშირებით ისაუბრა წიგნის ავტორმა დეკანოზმა ვლადიმერ ვორობიოვმა. შემდეგ კი შეკრებილებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიმართა.

პატრიარქმა მადლობა გადაუხადა შეკრებილ საზოგადოებას, წიგნის ავტორებს, პროფესორ-მასწავლებლებს წიგნის დაბეჭდვისათვის, ასევე დეკანოზ ვლადიმერ ვორობიოვს.

**„მე გადავხედე ამ წიგნს, რა თქმა უნდა, ბევრი არის ჩემზე გაზვიადებული, მაგრამ ამავე დროს ეს წიგნი ასახავს მართლაც იმ პერიოდს, რომელსაც ჩვენ ვუწოდეთ „მზიანი ღამე“. მე მინდა მადლობა გადავუხადო ტიხონის უნივერსიტეტის რექტორს, მამა ვლადიმერს, პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ წიგნის გამოცემაში. მე მინდა ასევე მადლობა მოვახსენო მამა ვლადიმერს, რასაც ის უწევს ჩვენს სტუდენტებს. მინდა გთხოვოთ, რომ არ უნდა გაჩერდეს მხოლოდ ჩემს პიროვნებაზე. დროს, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ გლობალიზაციის პერიოდს, ჩვენი სამღვდელოება, ჩვენი მღვდელმთავრები აკეთებენ ბევრს, რათა დაიცვან სულიერება ხალხში. მე არ მეგულება ისეთი მაღალი სულიერება არსად, როგორც ეს არის საქართველოში. ჩვენი ხალხი მოწყურებულია ამას და ეს არის დამსახურება სამღვდელოების, ჩვენი მღვდელთმთავრების, ერის, ადამიანებისაც. მსგავსი წიგნები უნდა დაიწეროს მათი მოღვაწეობის შესახებ. ყველას გილოცავთ. მე ბედნიერი ვარ, რომ დღეს ჩვენ ვიმყოფებით საპატრიარქო უნივერსიტეტში. ბედნიერი ვარ იმით, რომ ეს არის უდიდესი სასწაული, რაც გამოიარა ჩვენმა ერმა და ეკლესიამ. ის ტანჯვა, ის განსაცდელები, ამის შემდეგ ჩვენ ვხედავთ, მოვესწარით ასეთი უნივერსიტეტის მოღვაწეობას. ეს სასწაულია და პირველყოვლისა ვმადლობთ ღმერთს ამისათვის. მშვიდობა თქვენ და სრულიად საქართველოს“,** – ბრძანა უწმინდესმა შეხვედრაზე.

თავის მხრივ, მოსკოვის წმინდა ტიხონის სახელობის მართლმადიდებლური უნივერსიტეტის რექტორმა, დეკანოზმა ვლადიმერმა განაცხადა, რომ რუსეთში საქართველოს მიმართ სიყვარული არ დაუკარგავთ. მან იმედი გამოთქვა, რომ არც საქართველოში არ გამქრალა სიყვარული რუსეთის მიმართ.

**„ამ გრძნობების გამოხატვას ხელს უშლის პოლიტიკა. ჩვენ რელიგიურ განათლებას უნდა შევუწყოთ ხელი“,** – აღნიშნა დეკანოზმა ვლადიმერმა.

# დანაშაული, რომელიც შესაძლოა, ჩადენილია საქართველოს ტერიტორიაზე, ჩვენი სასამართლოს იურისდიქციაში მოხვდება

**ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი ფატუ ბენსუდა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს ხვდება.**

შეხვედრას არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელობასთან ერთად აგვისტოს ომის დროს დაზარალებულებიც ესწრებოდნენ.



**„შეხვედრაზე გავესაუბრები სამოქალაქო საზოგადოებას, თავად დაზარალებულებს. კიდევ ერთხელ მივაწოდებ მათ ინფორმაციას, რომ მსურს დავიწყო გამოძიება, ასევე დაზარალებულებს მივაწოდებ ინფორმაციას მათ უფლებებთან დაკავშირებითაც და განვუმარტავ, რომ შეუძლიათ სასამართლოში შეიტანონ განაცხადები და ითანამშრომლონ გამოძიებასთან“,** – განაცხადა ფატუ ბენსუდამ.

ამის შესახებ საერთაშორისო სისხლის სამართლის პროკურორმა ფატუ ბენსუდამ განაცხადა, როცა უპასუხა კითხვას, რა გზით აპირებს ჰააგა რუსეთთან თანამშრომლობას, რომელიც რომის სტატუტის წევრი არ არის.

ფატუ ბენსუდამ ხაზი გაუსვა, რომ სამაგიეროდ რომის სტატუტის წევრი საქართველოა და მნიშვნელობა არა აქვს, რა ეროვნების იქნება პირი, თუკი მას დანაშაული აქვს ჩადენილი.

**„ჩვენ პატივს ვცემთ რომის სტატუტს. საქართველო რომის სტატუტის წევრია, ამიტომ ნებისმიერი დანაშაული, რომელიც შესაძლოა, ჩადენილ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე, ჩვენი სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ მოხვდება. მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა ეროვნების იქნება ეს პირი“,** – განაცხადა პროკურორმა.

რაც შეეხება იმას, თუ რას აპირებს გამოძიების ფარგლებში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში, ჰააგის პროკურორი დარწმუნებულია, რომ „რაიმე გზა გამოინახება“.

ამასთან, მან ხაზი გაუსვა, რომ გამოძიების დასაწყებად ჯერ 3 მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიისგან შესაბამისი ნებართვა უნდა მიიღოს.

# ჰააგის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება უნდა იყოს გიორგი ანწუხელიძის, კახა ხუბულურის, უშანგი სოფრომაძის და სხვა 23 სამხედრო ტყვის წამების ფაქტები

**ფატუ ბენსუდასთან დავაყენეთ საკითხი, რომ რუსეთ-საქართველოს ომის გამოძიება ვერ ჩაითვლება სრულფასოვნად, თუ ჰააგის სასამართლომ არ გამოიძია ჩვენი ქართველი სამხედრო ტყვეების წამება და მათი მკვლელობის ფაქტები,** – ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორ ფატუ ბენსუდასთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

**„ჩვენ, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და იმ გუნდმა, რომელმაც ჰააგის პროკურორთან ვიმუშავებთ იუსტიციიდან და პროკურატურიდან, დავაყენეთ საკითხი, რომ ეს გამოძიება ვერ ჩაითვლება სრულფასოვნად, თუ ჰააგის სასამართლომ არ გამოიძია ჩვენი ქართველი სამხედრო ტყვეების წამება და მათი მკვლელობის ფაქტები. დავაყენე საკითხი, რომ გამოძიების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება უნდა იყოს გიორგი ანწუხელიძის, კახა ხუბულურის, უშანგი სოფრომაძის წამება და მკვლელობა, ასევე დანარჩენი 23 ქართველი სამხედრო ტყვის მიმართ წამება და სხვა არაადამიანური მოპყრობის ფაქტები“,** – განაცხადა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრის თქმით, ჰააგის პროკურორი ათვითცნობიერებს, რომ რაკი ეს ფაქტები მის წინა ანგარიშებში მათი ძალისხმევით ფიგურირებდა, გამოძიება ამ საკითხებსაც დაუთმობს განსაკუთრებულ ყურადღებას.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი მოუწოდებს აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულებს, მიმართონ ჰააგის სასამართლოს, მოითხოვონ, დაიკითხნონ და მხარი დაუჭირონ პროკურორის შუამდგომლობას ეთნიკური წმენდის გამოძიებასთან დაკავშირებით.

„მინდა, მივმართო ყველა დაზარალებულს, რომ 30-დღიანი ვადა აქვთ, მიმართონ ჰააგის სასამართლოს **მსხვერპლთა დაცვის სამსახურს. ეს შესაძლებელია როგორც პირდაპირ, ასევე ადვოკატის მეშვეობით. აუცილებელია, ყველა მსხვერპლმა, დაღუპულის ოჯახებმა მიმართონ ჰააგის სასამართლოს, მხარი დაუჭირონ პროკურორის შუამდგომლობას ეთნიკური წმენდის გამოძიებასთან დაკავშირებით და მოითხოვონ, რომ მომავალი კვირიდან დაიკითხონ იმ მისიების მიერ, რომლებიც დაიწყებენ ჩამოსვლას“,** – განაცხადა წულუკიანმა.

# თავისუფალი ინდუსტრიული ზონა



**ანაკლიის პორტის უკან 600 ჰექტარზე თავისუფალი ინდუსტრიული ზონა გაკეთდება, რომელიც ასევე შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, – ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა საქართველოს პარლამენტში განაცხადა, სადაც „აბრეშუმის გზის ფორუმის“ მეორე დღის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებები მიმდინარეობს.**

„ასევე ჩვენ ვილაპარაკეთ სატრანზიტო პოტენციალსა და იმ შესაძლებლობებზე, რომელიც ტრანზიტმა უნდა მოიტანოს. ეს იქნება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი, რომელიც ჯამურად რამდენიმე მილიარდი ინვესტიციაა. ანაკლიის პორტის უკან, ასევე გაკეთდება 600 ჰექტარზე თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, რომელიც ასევე შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს. ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესახებ. მას სჭირდება დახვეწა, თუმცა დღეს ეს კანონი არის, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, რომ საქართველოში აწარმოოს პროდუქცია და შემდეგ შეიტანოს ევროპაში“, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

### ინფორმაცია

# ახალი სოფლები ვეტერანებისთვის

**საზღვრისპირა რეგიონში ვეტერანებისთვის ახალი სოფელი გაშენდება, – ამის შესახებ ვეტერანთა დეპარტამენტიდან იტყობინებიან.**

**„ვეტერანების უმუშევრობის მწვავე პრობლემის, მძიმე სოციალური ფონის და საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებში არსებული სავალალო დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, პრემიერისა და მთავრობის გადაწყვეტილებით, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა შეიმუშავა საპილოტე პროექტი – „ვეტერანთა კოოპერატიული სასოფლო-სამეურნეო გაერთიანება“.**

**სახელმწიფო სამსახურმა „ფორტუნა ჰოლდინგთან“ ერთად, საპარტნიორო ფონდის თანადგომითა და დაფინანსებით მოამზადა კვლევა, სადაც პირველ ეტაპზე 550 ვეტერანის ოჯახის დასახლებით შეიქმნება სასოფლო ტიპის კოოპერატივი.**

**აღსანიშნავია, რომ ვეტარანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა ჩაატარა გამოკითხვა, რომლითაც დადასტურდა, რომ 20 ათასზე მეტ ვეტერანს აქვს სურვილი, იცხოვროს საზღვრისპირას.**

**პრემიერის ხელმძღვანელობით, ეკონომიკურმა საბჭომ მოიწონა აღნიშნული პროექტი. ამ ეტაპზე დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს ხელშეკრულების პროექტის მომზადება, რის შემდეგაც უმოკლეს დროში დაიწყება კონკრეტული სამუშაოები და საპილოტე პროექტში მონაწილე ვეტერანთა ოჯახების შერჩევა.**

# ტყიბულში თბოსადგური აშენდება

**თბილისის „აბრეშუმის გზის ფორუმის“ ფარგლებში, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით ხელი მოეწერა თანამშრომლობის თაობაზე შეთანხმებებს ჩინეთის ერთ-ერთ ყველაზე დიდი ]uea Dongfang Electric Corporation-სა და საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას შორის.**

**„განზრახულობათა ოქმს“ პარტნიორთა შეთანხმების ხელი მოაწერეს კორპორაცია Dongfang Electric Corporation-ის ვიცე პრეზიდენტმა ლან ზე ჰაიმ, ქართული მხრიდან კი საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის გენერალურმა დირექტორმა იორგ მათიესმა. ასევე, გაფორმდა ძირითადი ხელშეკრულება – ტყიბულის მუნიციპალიტეტში 150-მეგავატიანი ელექტროსადგურის კონტრაქტის თაობაზე, რომელსაც ქართული მხრიდან კომპანია „ტყიბული 150“-ის დირექტორმა გივი ჭაჭიამ და ჩინური მხრიდან ლან ზე ჰაიმ მოაწერეს ხელი. ასევე, ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ტყიბული 150“ შორის ტყიბულის მუნიციპალიტეტში ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობის ფლობის და ოპერირების თაობაზე ხელშეკრულებას. აღნიშნულ ხელშეკრულებას საქართველოს მთავრობის სახელით ხელი ენერგეტიკის მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ მოაწერა. ხელმოწერის ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაესწრო.**



# პენსია აუცილებლად უნდა გაიზარდოს!

**დიდზე დიდი იყო მოლოდინი. უამური ცხოვრებისა თუ წინამორბედი მთავრობებისგან უთვალავჯერ იმედგაცრუებული პენსიონერები მომავლისკენ მაინც ოცნების თვალით იცქირებოდნენ, ფიქრობდნენ, იქნებ ამ მთავრობას ამჯერად მაინც ხელი წაუცდეს და ისეთი პენსია დაგვინიშნოს, წამალ-საჭმელად მაინც რომ გვეყოსო. მაგრამ, როგორც ჩანს, პენსიონერთა ოცნებამ ვერც ამჯერად გაშალა ფრთები, ამ დღეებში გამართულ პარლამენტის სხდომაზე, სადაც 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრებს განიხილავდნენ, არც თუ ორაზროვნად ითქვა, რომ მომავალ წელს პენსიონერები იმ საცოდავი 10 ლარის მომატებასაც აღარ უნდა ელოდნენ.**

ამან ისედაც მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი პენსიონერების უკმაყოფილება კიდევ უფრო გაამძაფრა. დღეს ქალაქის ქუჩებში, სკვერებსა თუ ბაღებში, სადაც ისინი შემოდგომის მცხუნვარებადამცხრალ მზეს ეფიცხებიან, ხშირად გაიგონებთ, რომ ძალიან უჭირთ და 160 ლარით იმის ნახევრის შეძენასაც ვეღარ ახერხებენ, რასაც შარშან ან თუნდაც ორი წლის წინათ იძენდნენ. ერთ ასეთ საუბარს გუშინ ვერის ბაღში პირადადაც შევესწარი.

— შარშანდელ 150 ლარს ვჩიოდით, სამყოფი არ არისო, — წუწუნებს ოთხმოცს მიტანებული **დათა ხომიზურაშვილი, — და ახლა ისიც სანატრელი გაგვიხდა. თუ შარშან ჩემი 150 ლარი პენსია 85 დოლარის ტოლფასი იყო, ახლა 10 ლარით მომატების შემდეგ ის 65 დოლარის ტოლი გახდა. გამოდის, რომ პენსია კი არ მომემატა, პირიქით, 20 დოლარით შემიმცირდა.**

— შენც ამბობ რა, — დააკაკუნა ხელჯოხი გვერდით მჯდომმა **ალექსი ღლონტმა, — პენსია 50 ლარითაც რომ გაზრდილიყო, ლარის გაუფასურების გამო, ყველაფერი ისეა გაძვირებული, რომ წინანდელი მსყიდველობითი უნარი მაინც არ ექნებოდა.** კაცი დავბერდი და ასეთი ცეცხლმოდებული ბაზარი ჯერ არ მინახავს, ზაფხული ისე გავიდა, რომ ერთი ორად გაძვირებულ ხილს, მწვანილს თუ ბოსტნეულ-ბაღჩეულს კაპიკიც არ მოჰკლებია.

— მარტო პროდუქტები? — იკითხა წოწოლა **გიო არაბულმა, — აბა ახლა აფთიაქებში შეიხედეთ, რა ხდება. ტელევიზორით გვარწმუნებდნენ წამლები გაიაფდებაო და ადგილზე რომ მიხვალ, გაორმაგებული ფასები დაგხვდება. იქიდან ხშირად ხელცარიელი ვბრუნდები. აბა რა ვქნა, შიმშილით სიკვდილს ისევ უწამლოდ სიკვდილი მირჩევნია.**

— შენ მასე ლაპარაკობ, მაგრამ არ მოისმინე, პარლამენტარმა **თამაზ მეჭიაურმა** ტელეეთერით რა განაცხადა?

— რაო, რით გვასიამოვნა? — დაინტერესდნენ მოკამათენი.

**— პენსიონერები ისე გვყავს მოვლილნაპატივები და წამლობა-მკურნალობით ჯანგაკაჟებულნი, რომ ყოველწლიურად მოკლების მაგივრად სულ უფრო მრავლდებიანო.** ფაქტებით გელაპარაკებით, ბოლო პერიოდში მათი რაოდენობა 40 ათასი კაცით გაიზარდაო.

— მაგით რის თქმა სურდა, — აიმზირნენ მოხუცები, — მთავრობას არ სიამოვნებს, ამ დუხჭირ ცხოვრებას ცოცხლები რომ გადავურჩით?

— არა, მთლად მასე არ უთქვამს, ალბათ იმაზე მიგვანიშნა, რომ პენსიონერები ძალიან მომრავლდნენ და ბიუჯეტს, ბუნებრივია, უჭირს მათი შენახვაო.

— მიეთ-მოეთი რაში სჭირდებოდა მაგ კაიკაცს, — იწყინა ხელჯოხიანმა პენსიონერმა, — ეთქვა პირდაპირ ხადურივით, რომ მომავალ წელს პენსია არ გაიზრდებაო და მორჩებოდა.

— მაგ ხადურს ჩვენთვის გროშების გადმოგდება რომ ენანება, — თქვა მეორემ, — ურჩევნია, სამინისტროში თავის ხელქვეითებს მიხედოს (მილიონერ გიორგი ხანიშვილს ვგულისხმობ), მრავალათასიანი პრემია-დანამატების გამოწერით სახელმწიფო ბიუჯეტს შვედური ძროხასავით რომ წველიან. რა ვიცი, ვითომ შეგვპირდნენ, ქამრებს შემოვიჭერთო და აქეთ შემოგვიჭირეს მშიერ ხალხს.

პენსიონრები ჩინოვნიკთა გაუმაძღრობაზე საუბარს რომ მორჩნენ, ახლა იმის გარჩევაზე გადავიდნენ, მართალი იყო თუ არა ნაცდეპუტატი გიგი წერეთელი, ქოცებს პრეტენზია რომ წაუყენა — 150 ლარამდე პენსია ჩვენ გავზარდეთ და ამ წარმატებას თქვენ ტყუილად იბრალებთო. ვის სასარგებლოდ გადაწყვიტეს პენსიონერებმა ეს საკითხი, ველარ მოვისმინე (რედაქციაში მიმეჩქარებოდა), მაგრამ, ვფიქრობ, ამას არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს. უფრო არსებითი ის გახლავთ, რომ არც ნაცების დროინდელი 110-ლარიანი და არც ამჟამინდელი 160-ლარიანი პენსია არ შეესაბამება რეალური საარსებო მინიუმის მოთხოვნებს და პენსიონერთა დუხჭირ ყოფას სანახევროდაც ვერ ამსუბუქებს.

არადა, ყველას კარგად გვახსოვს, შარახვეტია სააკაშვილის დაპირება, — ხელისუფლებიდან მანამდე არ წავალ, ვიდრე პენსიას 100 დოლარამდე არ გავზრდიო. „ქართულმა ოცნებამ“ ნაცბელადს ეს შანსი ხელიდან გააგდებინა. რას ვიზამთ, არჩევნებში გამარჯვებულმა კოალიციურმა მთავრობამ სააკაშვილს კიდევ ბევრ რამეზე დასწყვიტა გული, მაგრამ სამაგიეროდ გაიხარა ასაკოვანმა ამომრჩეველმა, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება უამრავ სიკეთესთან ერთად, პენსიების მნიშვნელოვან ზრდასაც შეჰპირდა. **კერძოდ, ითქვა, რომ პენსიას საარსებო მინიმუმს გავუთანაბრებთ, ასეთი მინიმუმი კი ჩვენი გაანგარიშებით 230-250 ლარის ფარგლებში უნდა მოიაზრებოდესო. ექსპერტთა ერთი ნაწილი ამ აზრს დღესაც იზიარებს, მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში არსებული ფასების მიხედვით, დღეს ერთი ადამიანის საარსებო მინიმუმი 360 ლარის ტოლფასია.** აქედან გამომდინარე, საარსებო მინიმუმის ოდენობა აუცილებლად უნდა გადაიხედოს.

ჰოდა, თუ გადასახედია, გადაიხედოს, ვინ არის ამის წინააღმდეგი? როგორც ვიცი, მეოცნებე მთავრობიდან ამის წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ მსურველიც რომ დღემდე არავინ გამოჩნდა? არადა, ვიდრე ხელისუფლებაში მოვიდოდნენ, საარსებო მინიმუმის პრობლემა ერთთავად პირზე ეკერათ. **მაშ რა გაუჭირდათ, ვითომ საარსებო მინიმუმის დათვლას იმდენი თანხები სჭირდება, რომ ხაზინაში ვერ მოიძიეს? არა, ბატონებო, საქმე სხვა რამეშია. სინამდვილეში ფინანსები დათვლას კი არა, აი იმას დასჭირდება, დათვლის შემდეგ მთავრობას შედარებით მაღალი საარსებო მინიმუმის დარად პენსიების გაზრდა რომ მოუწევს(!).**

ეტყობა, სწორედ პასუხისმგებლობის ამ ყულფში თავის გაყოფა არ სურს ქვეყნის პირველ ფინანსისტს, ბატონ ნოდარ ხადურს და ამიტომ ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ კოალიციურმა მთავრობამ დაპირება პირნათლად შეასრულა, პენსია 160 ლარამდე გაზარდა და საარსებო მინიმუმს (155 ლარს) კიდევაც გადააჭარბა. **ხადურს შეიძლება დაავიწყდა (მას რატომღაც გულმავიწყობა დასჩემდა) მეოცნებეთა წინასაარჩევნო დაპირებები, მაგრამ თუ მასთან ერთად გულმავიწყობა მთავრობასაც დასჩემდა, მაშინ ურიგო არ იქნება, გადახედონ „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ მიერ საარსებო მინიმუმის ახალი მეთოდოლოგიით გამოთვლის შედეგებს, რომლის მიხედვითაც ჯერ კიდევ შარშან ივლისში საარსებო მინიმუმი 315,4 ლარს შეადგენდა.** შესაბამისად გაიზარდა მოხმარებული პროდუტების დღიური კვებითი ღირებულება ერთ შრომისუნარიან მამაკაცზე და 2300 კილოკალორიის ნაცვლად 2500 კილოკალორია შეადგინა. საქმე ის გახლავთ, რომ „საქსტატი“, რომელიც დღემდე „პრეისტორიული“ მეთოდოლოგიით მუშაობს, საარსებო მინიმუმს თურმე კვლავაც 40 დასახელების პროდუქტთა ჯგუფის მიხედვით ადგენს, მაშინ, როდესაც სასურსათო კალათა დღეს რეალურად 70 დასახელების პროდუქტს მოიცავს.

ასეთია, სამწუხაროდ, რეალობა, **ხელისუფლებამ კი მთელი სამი წლის მანძილზე რატომღაც ერთხელაც ვერ მოიცალა სასურსათო კალათის დასათვლელად, და აქედან გამომდინარე, საარსებო მინიმუმის დასადგენად. და ეს მაშინ, როდესაც საკუთარ კეთილდღეობაზე, ხელფასებისა და პრემია-დანამატების ზრდაზე ზრუნვა ერთი დღითაც არ შეუნელებია.** აქ არ შევუდგები იმის ჩამოთვლას, ხელისუფლების ცალკეულ შტოებში რა რაოდენობის პრემიები და სახელფასო დანამატები ჩამოირიგეს (ამაზე უამრავჯერ დაიწერა და აღარ მინდა, მკითხველს ნერვები დამატებით დავუძაბო), მაგრამ ზოგ ნიშანდობლივ ფაქტს მაინც გავიხსენებ. თუნდაც იმას, ბოლო წლებში ბიუროკრატიას ხელფასები 1,1 მილიარდი ლარით რომ გაეზარდა. საქართველოში მნიშვნელობა არა აქვს, ჩინოვნიკი საქმეს აკეთებს თუ არა, ხელფასი მაინც ემატება. **ამის დასტურად გამოდგება მომავალი წლის ბიუჯეტი, რომელიც პენსიების გაზრდას არა, მაგრამ ბიუროკრატიის შესანახი ხარჯების 57 მილიონი ლარით გაზრდას ითვალისწინებს.** და ეს მაშინ, როცა საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა სიღატაკესა და შიმშილს დღემდე ვერ დააღწია თავი.

მისასალმებელია, რომ ასეთ დროს პარლამენტართა და ჩინოვნიკთა შორის გამოჩნდნენ ერთეულები (ნაცუმცირესობას არ ვგულისხმობ, რომლებიც პენსიების სიმცირესა და ხალხის გასაჭირს ხელისუფლების დასაშანტაჟებლად იყენებენ), რომლებმაც ხალხისკენაც გამოიხედეს. აი თუნდაც პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **დიმიტრი ხუნდაძე, რომელმაც დასვა პენსიის გაზრდის აუცილებლობის საკითხი და განაცხადა, რომ თუკი მოვისურვებთ, საბიუჯეტო პროექტით ამის რესურსი რეალურად არსებობსო. ამ აზრს დაეთანხმა ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძე და თქვა რომ, მთავრობა მზად არის, პენსიის გაზრდის თაობაზე პარლამენტთან ერთად იმუშაოს.**

დაველოდოთ მოვლენათა მსვლელობას. იმედია, მთავრობა ამჯერად მაინც ბატონ ნოდარ ხადურის შარშანდელ „გამოცდილებას“ არ დაეყრდნობა და პენსიების 5-10 ლარით გაზრდას მომავალი წლის 1 სექტემბრიდან თუ არა, 1 ოქტომბრიდან მაინც დაგეგმავს!

**ოთარ ხუციშვილი**

## დასაქმებულ-დაუსაქმებელნი

# რა გვიჩვენა კვლევამ?

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2014 წლისთვის საქართველოში დაახლოებით 1 მილიონ 990 ათასი შრომისუნარიანი მოქალაქე იყო. აქედან 1 მილიონ 740 ათასამდე დასაქმებულად ითვლება, სულ 246 ათასს თვლის სტატისტიკის სამსახური დაუსაქმებლად. შესაბამისად, უმუშევრობის დონე ქვეყანაში 12,4 პროცენტია და ამ მაჩვენებლით 2014 წელი საუკეთესო იყო ბოლო ათწლეულის განმავლობაში.**

ამავე სტატისტიკური მონაცემების თანახმად, დასაქმებულებში ჭარბობს თვითდასაქმებულთა წილი, კერძოდ, 60,2 პროცენტი არის თვითდასაქმებული და მხოლოდ 39,8 პროცენტი — დაქირავებით დასაქმებული. ოფიციალური სტატისტიკით, უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სოფლის ტიპის დასახლებებში და მეტი — ქალაქის ტიპის დასახლებებში. თუ ჩვენი პირადი აღქმით ეს სიტუაცია განსხვავებულია, ამას საკმაოდ მარტივი მიზეზი აქვს: თვითდასაქმებულად ითვლება ყველა, ვინც მიწას ამუშავებს ან უსასყიდლოდ მუშაობს შინამეორნეობაში.ეს ცხადყოფს, რომ დასაქმების მაჩვენებელი რეალურად ცოტა „გადაჭარბებულია“.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური იმასაც ამბობს, რომ 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, უმუშევრობის დონე რეგიონალურ ჭრილში გაზრდილია მხოლოდ ქვემო ქართლსა და იმერეთის რეგიონში, თბილისში კი უმუშევრობა 6 პროცენტით არის შემცირებული. ამ ოფიციალური სტატისტიკის ფონზე, ცხადია, განსაკუთრებით საინტერესოა კვლევა, რომელიც მოსახლეობის მიერ დასაქმებულობის „თვითაღქმას“ შეისწავლის.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 66 % თავს დასაქმებულად არ მიიჩნევს და მხოლოდ 34 % ფიქრობს, რომ დასაქმებულია.

თუმცა აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ, საზოგადოებრივი აზრის წინა კვლევასთან შედარებით, უმუშევრობის მაჩვენებელი შემცირებულია. კერძოდ, ინსტიტუტის მიერ მაისში გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 67 % თავს დასაქმებულად არ თვლიდა. ამასთან, უახლესი კვლევის მიხედვით, დაუსაქმებელი 66 %-იდან 27 % არის უმუშევარი და ეძებს სამსახურს, 5 % უმუშევარია და არ ეძებს სამსახურს, 33 % კი არის არააქტიური სამუშაო ძალა.

NDI-მ საველე სამუშაოები 8 აგვისტოდან 10 სექტემბრის შუალედში ჩაატარა. კვლევა ეყრდნობა 4, 448 დასრულებულ ინტერვიუს. საზოგადოებრივი აზრის კვლევა ითვალისწინებს წარმომადგენლობით შერჩევას ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობაში, მათ შორის, ქალაქის, სოფლის ტიპის დასახლებებში, ასევე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში და ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში; ამასთან, დამატებით, წარმომადგენლობით შერჩევას თვითმმართველ ქალაქებში: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, გორი, თელავი, ახალციხე, ოზურგეთი, მცხეთა და გურჯაანის მუნიციპალიტეტი. საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/-3,01%.

**ირინა გურული**

**დიდი ქალაქების ცენტრებში საცხოვრისის ქონას არა მარტო ევროპასა და ამერიკაში, არამედ ჩვენშიც, ცხადია, ისინი, ვისაც ამის შესაძლებლობა აქვს, ქალაქიდან მოშორებითაც კი, თუნდაც პატარა სახლების აშენებას ან შეძენას არჩევენ. ბუნებაში ყოფნის კომფორტს, რასაც მრავალბინიან სახლში, რაგინდ კარგად გარემონტებული თანამედროვე ყაიდაზე მოწყობილ ბინაში ცხოვრება არც შეედრება, კიდევ ის უპირატესობაც აქვს, რომ ასეთი საცხოვრისის პატრონი სოციალურ იერარქიაში გარკვეულ ბონუსსაც იძენს.**

**ამ და კიდევ მრავალ მსგავს საკითხზე, კერძოდ, დედაქალაქში ბინათმშენებლობის, ქალაქდაგეგმარების, ახალი ობიექტებისთვის ადგილების გამოყოფისა და მშენებლობისთვის ნებართვების გაცემის საკითხებზე ლაპარაკი ჩემს უფროს მეგობართან, ცნობილ არქიტექტორთან გივი გაბუნიასთან ხშირად მაქვს ხოლმე. იგი ამ საკითხებში კარგადაა გათვითცნობიერებული, რადგან თბილისის განვითარების გენერალური გეგმის კონცეფციის წლების წინ ჩატარებული კონკურსის ლაურეატია, დიდხანს საფრანგეთის ქალაქ მარსელის მუნიციპალიტეტში ურბანულ საკითხებზე მუშაობდა. ამის თაობაზე ჩვენს გაზეთში რამდენიმე მასალა დაიბეჭდა კიდეც, ამდენად, წინამდებარე წერილი მათი ერთგვარი გაგრძელება გახლავთ.**

# გვიხსნის მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმა ურბანული ქაოსისგან?

— უბედურება ისაა, რომ როცა ჩვენებური კაცი, ახალი საცხოვრისის შეძენისას, ეგრეთ წოდებულ „თეთრი“ თუ „შავი“ კარკასის ბინის კვადრატულ მეტრში, საშუალოდ, 700-800 დოლარს და ზოგჯერ მეტსაც კი იხდის, მას რემონტის დროს ყოველ კვადრატულ მეტრზე დაახლოებით 150-200 დოლარის დამატება უწევს, რაც მატერიალური ხარჯის გაზრდასთან ერთად კიდევ ბევრ დროსა და ნერვების დიდ დაძაბვას მოითხოვს, — ამბობს გივი გაბუნია. — თან ისიც ხომაა გასათვალისწინებელი, რომ ბინის ყველა სარემონტო სამუშაოს ერთდროულად, პარალელურ რეჟიმში წარმოება ვერ ხერხდება, დროში იწელება და, ხშირად, ხალხს წლების განმავლობაში უხდება როგორც საკუთარი, ასევე მეზობლების ბინებიდან აორთქლებული ტექნიკური გაზების სუნთქვა, რომლებსაც სხვადასხვა საღებავი, ლაქი, გამხსნელი, კომპოზიტური მასალებისგან დამზადებული ნაკეთობა წარმოშობს. მრავალი, მათ შორის ამერიკული ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერთა კვლევებით დადასტურებულია ამ გაზების მავნე გავლენა თავის ტვინის უჯრედებსა და სასუნთქ ორგანოებზე, რაც მათ შეუქცევად პათოლოგიებს იწვევს.

საცხოვრისებში, უფრო სწორად კი მრავალსართულიან სახლებში ბინების რემონტებთან დაკავშირებული ხმაური და ევროპაში ბოლო წლებში მეტად გამკაცრებული აკუსტიკური იზოლაციის ნორმების უგულებელყოფა, ასევე უაღრესად უარყოფითად მოქმედებს მობინადრეთა ჯანმრთელობაზე, ქრონიკული დაღლილობის შეგრძნებასა და სმენის დაქვეითებას იწვევს, რაც განსაკუთრებულად „თეთრ“ და „შავ“ კარკასებად წოდებული ნახევარფაბრიკატების შელამაზების დროს ხდება.

ჩემი ღრმა რწმენით, **დიდი ხანია, დროა, რომ ასეთ მდგომარეობაში ბინების გაყიდვა ან კანონმდებლობის, ან გარკვეული რეგულაციის საფუძველზე უნდა შეიზღუდოს და ისინი, რამდენიმე სოლიდური სამშენებლო კომპანიის მსგავსად, დასრულებული, ყოველ შემთხვევაში, ჯანმრთელობისთვის არასაზიანო მდგომარეობამდე მიყვანილი გაიყიდოს.**

თუ ბინათმშენებლობის საერთო ტემპისა და მათი გაყიდვის ინტენსივობის გათვალისწინებით, საკმაოდ მაღალი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **მომავალში ინდივიდუალურ საცხოვრისებზე მეტი მოთხოვნა იქნება, ამიტომ ხალხისთვის ნორმალური პირობების შესაქმნელად დედაქალაქის პერიფერიულ, უმთავრესად აღმოსავლეთ მხარეს, უკვე ახლაა საჭირო სამოსახლოდ გამოსადექი ტერიტორიების მონიშვნა, სადაც აგლომერაციის ზონებში წინასწარ ინფრასტრუქტურული სისტემის შექმნა იქნება გათვალისწინებული. ეს კი, კომფორტთან ერთად, ვფიქრობ, ეკონომიკურადაც უფრო მომგებიანი იქნება კერძო მენაშენეებისთვის, ვიდრე დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში ბინის შეძენა.**

სერიოზულ გადახედვას საჭიროებს ქალაქმშენებლობის საკანონმდებლო ბაზაც. **თუ რომელიმე კონკურენტული სამშენებლო პროექტი შეესაბამება დარგში მოქმედ რეგულაციებს, მისი განხორციელება-არგანხორციელება მავანთა მოწონება-არმოწონებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული.** თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომელზეც კონკურსი ამას წინათ გამოცხადდა და რომელიც ზოგიერთებს პანაცეად და ურბანული ქაოსიდან თავის დაღწევის საშუალებად მიაჩნია, ზოგადი ხასიათის სტრატეგიული დოკუმენტია და ქალაქმშენებლობითი შეცდომებისგან ვერ დაგვიცავს. სამწუხაროდ, კონკურსთან დაკავშირებულმა აჟიოტაჟმა და მასში დიდი რაოდენობით უცხოელი სპეციალისტების ჩართვამ,. მას ერთგვარი მარიაჟულ-პროვინციული ღონისძიების ელფერი მისცა. პრობლემა არა იმდენად გენერალური გეგმაა, რომლის დამუშავება ჩვენი სპეციალისტების ძალებითაც შეიძლება, არამედ მისი რეალიზაციის მექანიზმი, რომელსაც შესაბამისი ადმინისტრირების სისტემა და საკანონმდებლო ბაზა სჭირდება. **თუ დედაქალაქის და მისი მოსაზღვრე ადმინისტრაციული რაიონების (რადგან თბილისი აგლომერაციულია), აგრეთვე მთავრობის, მისი უწყებების ხელმძღვანელები კარგად არ გაეცნობიან და არ გაითავისებენ გენერალური გეგმის ძირითად პრინციპებს, ეს ნაშრომი მხოლოდ სიცოცხლისუნარიანობას მოკლებულ ფორმალურ დოკუმენტად დარჩება. განაშენიანების რეგულირების გეგმასთან ერთად მას უნდა ახლდეს შესაბამისი ქალაქმშენებლობითი დისციპლინა და მკაცრი სანქციები იყოს გათვალისწინებული დარღვევების შემთხვევაში.** ამის აუცილებლობას ადასტურებს ჯერ კიდევ არსებული თბილისის გენერალური გეგმა, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა და არაერთხელ დაირღვა დაუსაბუთებელი და ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებებით, როგორც, მაგალითად ბაგები-წყნეთის მონაკვეთის, ან თამარაშვილის ქუჩის განაშენიანებისას. ეს უკანასკნელი ორი რაიონის შემაერთებელი ბულვარია, ახლა კი ორივე უბანი საცხოვრებელი კორპუსებით „გადაჭედილია“. როცა ძველი გენგეგმა საგეგმო ეკონომიკისა და მიწაზე სახელმწიფო საკუთრების პირობებშიც კი ვერ განხორციელდა, საბაზრო ეკონომიკის და მიწაზე კერძო საკუთრების პირობებში ამის გაკეთება უფრო პრობლემური ხდება, თუკი ამისთვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და ადმინისტრაცილი მექანზმი არ შეიქმნა.

**არ შეიძლება, რომ ქალაქის განაშენიანება მხოლოდ კონიუნქტურული ან სამშენებლო კომპანიების ინტერესებიდან გამომდინარე ხორციელდებოდეს,** ხოლო მთავრობა და მერია „გამპრავებლების“ როლში იმყოფებოდნენ და ამ კომპანიებიდან ბიუჯეტში შემოსული დღგ-ს, მოგების 15 პროცენტის, კიდევ სხვადასხვა მოსაკრებლებისა და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით ვაჭრობის ხარჯზე მიღებული თანხებით კმაყოფილდებოდნენ. ამიტომაც არ გაუქმებულა, ალბათ, ნაცმოძრაობის მმართველობის პერიოდში გაცემული ზოგიერთი მშენებლობის ნებართვები და ასევე დაუფიქრებლად გაიცა ახლები. ამის მაგალითია იგივე თამარაშვილის ქუჩაზე, ყოფილი იპოდრომის შესასვლელთან მდებარე ტერიტორია, სადაც ძველმა, ამჟამად ძებნილმა მეპატრონემ არც ხეები გაჩეხა და არც მეგამშენებლობა წამოიწყო, მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსი ნამდვილად არ აკლდა. სამაგიეროდ წელს, უკვე ახალმა მფლობელმა არათუ მოახერხა ძებნილი პირისაგან ნაკვეთის გადაფორმება, არამედ ასწლიანი ხეებიც არ დაინდო, წინასწარ დარწმუნებულმა, რომ მშენებლობის ნებართვასაც მიიღებს ამ მწვანე ზონაში მიუხედავად მოსახლეობის პროტესტისა.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ **ტერმინი „არასწორი მშენებლობა“ არ აღიქმება როგორც კანონსაწინააღმდეგო, რადგან ფიქციური, ქალაქმშენებლობითი დოკუმენტები, კანონები და წესები ისე ოსტატურად არის შედგენილი, რომ მათით მანიპულირება და ნებისმიერი მცდარი გადაწყვეტილების გამართლების საშუალებას იძლევა.**

ამჟამად მოქმედი ორი ძირითადი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ქვეყანასა და დედაქალაქში მშენებლობის საკითხებს აწესრიგებს, არის 2005 წელს მიღებული მთავრობის დადგენილება №140 „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“, ხელმოწერილი მაშინდელი პრემიერის ზ. ნოღაიდელის მიერ და შემდეგ 2009 წელს მიღებული იგივე დადგენილება შეტანილი ცვლილებებით, უკვე პრემიერ-მინისტრ ნ. გილაურის ხელმოწერით. რაც შეეხება თბილისს, აქ მოქმედებს ასევე 2009 წელს საკრებულოს მიერ მღიებული №4-13 გადაწყვეტილება „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“.

დადებით მხარეებთან ერთად, **ორივე მათგანი შეიცავს უზუსტობებს, მორგებულია გარკვეულ ინტერესებზე, არ ითვალისწინებს მთელ რიგ აქტუალურ ურბანულ ტენდენციას, ქალაქის ადგილმდებარეობას განსახლების სისტემაში და მათ სპეციფიკას, თითქმის არ შეიცავს სანიტარიულ-ჰიგიენურ, ეკოლოგიის, კეთილმოწყობის, ინსოლაციის, ხმაურდაცვის მხრივ თანამედროვე მოთხოვნებს.** ასევე გასაახლებელია „საქართველოს კანონი არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“, რომელიც 1998 წელს გამოიცა და რომლის არსებობა ბევრს აღარც ახსოვს. სამშენებლო დარგში მოუწესრიგებლობის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ვერც მთავრობაში, ვერც პარლამენტში, ვერც მერიასა თუ საკრებულოში, რომლებიც ძირითადად ნაირნაირი სპეციალობების ხალხითაა დაკომპლექტებული, არსებითად ამ დარგის არც ერთი წარმომადგენელი არ არის.

ყველა ამ საკითხის გადასაწყვეტად, უწინარესად, საჭიროა სხვადასხვა დროს არქიტექტურისა და მშენებლობის დარგში გამოცემული და მოქმედი საკანონმდებლო აქტების გადახედვა. ზოგიერთი მათგანი უნდა გაუქმდეს, დაკორექტირდეს ან შეიცვალოს ახლით და ისინი ერთ კრებულში უნდა მოექცეს, რომელსაც, ევროპული პრაქტიკის მსგავსად „ურბანიზმის კოდი“ ან სხვა სახელი ექნება, პერიოდულად განახლდება და ხელმისაწვდომი გახდება ნებისმიერი მოქალაქისთვის.

**ოთარ ტურაბელიძე**



### ალიან-ჩალიანი

## დეკანოზ ვახტანგ თოხაძეს მღვდელმოქმედების უფლება დროებით შეუჩერდა

**როგორც საპატრიარქოში აცხადებენ, გადაწყვეტილება დეკანოზ ვახტანგისთვის დროებით მღვდელმოქმედების უფლების შეჩერების შესახებ შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა მიიღო.**

**„დეკანოზს გარკვეული ეპიტემია აქვს მიღებული და იმის მიხედვით, თუ როგორ შეასრულებს მას, აღუდგება მღვდელმოქმედების უფლება“, — აცხადებენ საპატრიარქოში.**

**ამასთან, „გურია ნიუსის“ ინფორმაციით, დეკანოზისთვის მღვდელმოქმედების შეჩერება სამრევლო სკოლაში მოსწავლის გაროზგვის ფაქტს უკავშირდება.**

ინტერპრესი



# ილია ჭავჭავაძიდან ამოულორტილი, მამულისთვის მსახურქმნილი კაცი

## მუდმივად იაზროვნებს და მუდმივად იარსებებს

**მან მხოლოდ გადმობიჯება მოასწრო ოცდამეერთე საუკუნეში. ის ჭეშმარიტად მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი ფრიად გამორჩეული მოაზროვნე იყო, რომელმაც მართლაც წარუშლელი კვალი დატოვა ქართული აზროვნების ისტორიაში. ამ სიტყვებს ჯანსუღ ღვინჯილიაზე ვწერ.**

**წერილი რომელსაც დღეს ვაქვეყნებ, ჯანსუღის ხუთწიგნეულისთვის დავწერე. იმხანად ჯანსუღ ღვინჯილია ახალი გარდაცვლილი იყო. ეს ხუთწიგნეული თითქოს ჩაიკარგა ბოლო სოციალურად თუ პოლიტიკურად ბნელ დროში. მაგრამ, როგორც ცნობილია, თუ ვაზროვნებთ, ვარსებობთ კიდეც, მაშინ ჯანსუღ ღვინჯილია, რომელიც ახლა 75 წლისა გახდებოდა, დღესაც არსებობს და საერთოდ მუდმივად იარსებებს, იმიტომ, რომ ის ყოველ დროს ყოველ წინ მიმავალ საზოგადოებასთან ერთად იაზროვნებს.**

**ღირებული აზრი და ნააზრევი აკი მარადიულად ცოცხალია.**



იქნებ ზოგი რამ თქმული ცოტა გადაჭარბებულიც გამომივიდეს ან სულაც ვინმეს მოეჩვენოს გადაჭარბებულად, მაგრამ, რა ვქნა, მე დღეს ასე ვხედავ ჩემს თანაწუთისოფლელ, ჭეშმარიტად მეოცე საუკუნელ ჯანსუღ ღვინჯილიას, ილია ჭავჭავაძის შემდეგ ერთ-ერთ ყველაზე ეროვნულად მოაზროვნე ქართველს, რომელიც, როგორც ერთი ჩვენი თანამედროვე ქართველი საეკლესიო პირი (ეპისკოპოსი თადეოზი) იტყოდა, აღვირსხმიდა ყოველ სურვილს, სამამულო ზრუნვის გარდა.

თავისი ბუნებით, ცხოვრების წესით, კაცურკაცობით ის თითქოს არ იყო ახალი ადამიანი, ახალი დროის, ტექნიკისა და მეცნიერების განვითარების მხრივ ახალი დროის ადამიანი, იქნებ ამიტომაც მიაჩნდა, სხვებთან ერთად, თავისი თავი „პროვინციალად“ („ჩვენ, ქართველები, ყველანი პროვინციალები ვართ“), მაგრამ ამ ამბავს, ჩემი აზრით, მხოლოდ ერთი ახსნა აქვს – ჯანსუღ ღვინჯილია უკან, თავისი ქვეყნის ულრანი წარსულისკენ მაცქერალი კაცი იყო, ამ ულრანი წარსულის გავლით იარა მან მომავლისკენ, ამ ულრანი წარსულიდან თან წამოიღო რაც რამ ფასეული და ღირსეული იყო და, რაც უმთავრესია, სწორედ ის ქართველები გააცოცხლა, დიახ, გააცოცხლა (ამ სიტყვის სრული და პირდაპირი გაგებით), რომელ ქართველთა სიცოცხლეც თავად საქართველოს მარადიულად სჭირდება თავისივე სიცოცხლისთვის უკუნისამდე ჟამთა.

ჩვენს სინამდვილეში ილია ჭავჭავაძისგან ჯანსუღ ღვინჯილიაზე უკეთესად არავის არ უსწავლია ქვათა ალაღადების ენა. მან, თუ შეიძლება ასე თქმა, არა მხოლოდ ერთი ან ორი ქვა, არამედ მთლად გარდასული ჟამი აალაღადა და თანაც ისიც საჩინოდ მოახერხა, რომ ამ უტყუარი ღაღადისთვის მრავალთა და მრავალთათვის დაეგდებინებინა ყური. ამის შემსწრე მე თვითონ გავხდი, ანზორ ერქომაიშვილთან ერთად, როცა ჯანსუღის მესამოცე წლისთავის გამო სამცხე-ჯავახეთში მომიხდა ყოფნა. მე იქ ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, თუ როგორი უნდა იყოს არა ოდენ თავისი ნაღვაწით თავმომწონე კაცი, არამედ განსაცდელში ჩავარდნილი ერის სულის მშენებელი, ანუ, როგორც თვითონ იტყოდა, სულის აღმაშენებელი მწერალი. ამიტომაც იყო, ძველი ალქიმიკოსივით თუ მჩხიბავ-მისანივით, მთელი თავისი არცთუ ხანგრძლივი სიცოცხლე წარსულიდან დიდ სულთა გამოხმობას რომ მოანდომა. ალბათ, სულაც მართალი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ მან ქართული სულის ერთგვარი არქეოლოგია შექმნა, მაგრამ არა უკვე ისტორიულ ექსპონატად ქცეული სულისა, ჯანსუღ ღვინჯილიას მიერ ისტორიის უძირო ღურღუმში მოძიებული სუყოველი სული, ალბათ, ყველა ჟამისა თუ დროის საზოგადოებრივად მოაზროვნე ქართველის სუნთქვასთან შეერთებულ სულად დარჩება.

ღმერთმა ნუ ქნას, ვინმემ ისე გაიგოს, თითქოს ჯანსუღ ღვინჯილიას ოდენ წარსულში მოყურყუმალავედ ვხედავდე. ზემოთ მივანიშნე და ახლა პირდაპირ ვიტყვი, რომ მომავლისკენ სავალ გზად მან წარსული იმიტომ აირჩია, რაც შეიძლება მალე ეპოვა წარსულიდან გამოსავალი. აკი წერდა კიდეც და ხშირადაც უყვარდა თქმა, საქართველოსთვის თავსატეხ პრობლემად იქცა წარსულიდან გამოსვლაო. არადა, წარსულიდან გამოსვლა ის პრობლემაა, რომელსაც გონივრულად თუ არ გადავჭრით, საქართველოს მომავალი არ აშენდებაო, შესაძლოა, საქართველოს საერთოდ არც უწერია მომავალი, თუ წარსულიდან ღირსეულად გამოსვლა ვერ შეიძლოო. ამ პრობლემის გადაჭრა ან ვერგადაჭრა საქართველოს არსებობის ან არარსებობის ტოლფასიაო, ჩვენი ხსნა ჩვენშივეაო...

* * *

როცა მამულისთვის მსახურქმნილი კაცი თავის საქვეყნო საქმეს მოათავებს და თავის სათქმელსაც უკვე იტყვის, სიცოცხლე მერე იქნებ ერთგვარად ხელსაც კი უშლის. ასეთ შემთხვევაში სიცოცხლე თითქოს ყრუ ფარდაა, ამ მსახურქმნილ კაცსა და საზოგადოების შუა მძიმედ ჩამოშვებული. რატომღაც, ჩემდა უნებურად, ასეთი „ფილოსოფიური“ აზრი მაქვს აკვიატებული ჯანსუღ ღვინჯილიაზე, რომელმაც თავისი საქვეყნო საქმეც დამში მოიყვანა და სათქმელიც ბოლომდე თქვა. მერე ახლა როგორ თქვა! და არსებობა რახან იგივე აზროვნებაა, ჯანსუღ ღვინჯილია, მჯერა, ისე კი არა, მართლა მჯერა და, ალბათ, ასეც არის, რომ ისევე არსებობს, როგორც დღესაქამომდე არსებობდა ღვთისგან ბოძებულ გარკვეულ დროში, თავის კუთვნილ წილ დროში, და უწინარესად არსებობს თავისი განუმეორებელი აზროვნებით, რომელ აზროვნებასაც ხუთ ვეება წიგნში მოუყარა თავი ჯანსუღისავე დიდი ცხოვრებისა და შემოქმედების უპირველესმა პერსონაჟმა და ასევე უპირველესმა მეგობარმა, გვარ-სახელად ნანა ახობაძემ, რომელიც, არ ვიცი, რატომ, და ისტორიიდანვე გამოხმობილად მეჩვენება, ჩანს, საპატრონოდ და ამ დიდი ნააზრევის პირველი გამოცემის მიზნით, რამეთუ ესოდენი ზრუნვა და სიყვარული ყველა სხვა გამოცემას მომავალშიც დასტურ ამ გამოცემიდან უნდა გადაჰყვეს.

* * *

ჩემთვის ძვირფასი ჯანსუღ ღვინჯილიას ოჯახმა თავიანთი ძვირფასი თავჯალაბის თხზულებათა ხუთწიგნეულისთვის, ამ მცირე წერილის დაწერა რომ მთხოვა, ერთხელ კიდევ გადავხედე ჯანსუღისგან ჩემთვის სხვადასხვა დროს ნასახსოვრებ წიგნებს და ერთხელ კიდევ გადავავლე თვალი დღეს უკვე კარგა მოხნიანებულ ჩვენს ძველ მეგობრობას...

მგონი, 1967 წელი იდგა, „მნათობში“ ჩემ მიერ გადმოენებული კ.პაუსტოვსკის „ოქროს ვარდის“ ბეჭდვა დამთავრდა. მალევე „ლიტერატურული საქართველოს“ პირველ გვერდზე დაიბეჭდა ჯანსუღისეული შეფასება, ჩემთვის ნამდვილად ფრთებშემსხმელი, მერე „ცისკარს“ ჩაუდგა სათავეში, სადაც ყოველთვის სასურველი ავტორი ვიყავი, ჯანსუღმა დაბეჭდა ჩემეული ჯ.როდარის „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“ და ეჟი ლეცის „დაუვარცხნელი აზრები“. სანამ ცოცხალი ვარ, ვერასოდეს ვერ დავივიწყებ იმ თანადგომას, რაც მან ჩემ მიმართ გამოიჩინა მთელი ოცდაათი წლის მანძილზე, რა დროც რაბლეს ქართულად გადმოენებას მოვანდომე. თუ არა, ეს ფრიად კეთილი, შემგულიანებელი კაცი, იქნებ ბოლომდე ვერც გავსულიყავი. პირდაპირ მრჩევლად გამიხდა ტომანოვების „სოკრატეს“ გადმოენების ჟამს. მე შენ გეტყვი, და არ იცნობდა ძველ ანტიკურ ფილოსოფიას! ყველაფერ ამას იმიტომ ვიგონებ, თუ როგორი ხელის აპყრობა იცოდა ამ ჭეშმარიტად ღვთისნიერმა კაცმა, რომელიც ყოველთვის საქვეყნო საქმით იყო შეპყრობილი, რომელსაც არასოდეს არ ჰქონდა დრო, მაგრამ კაცურკაცობის შუქურა ყველაზე დიდი გაჭირვების ჟამსაც არ ჩაუქრია. გაჭირვებით კი, როდის არ უჭირდა თავისი შერყეული ჯანმრთელობის პატრონს... ხან იმასაც კი ვფიქრობ, რომ რაღაც იდუმალ ძალასთან იყო შეკრული, თორემ, ალბათ, ვერც მოახერხებდა ამდენის შექმნას. რამდენჯერმე თითქმის მკვდარიც იყო ხან რომელ უცხოეთის ქვეყანაში საოპერაციო მაგიდაზე, ხან რომელში, მაგრამ, რუსთაველისა არ იყოს, ღმერთმა მართლაც არ გაწირა, მანამ არ გაუჩერა გული, სანამ ბოლომდე არ გაატანინა ქართულ სულიერებაში თავისი წილი სამომავლო ხნული. გული კი, ასევე დამაშვრალი ივანე ჯავახიშვილივით, მაშინ გაუჩერა, ოდეს ერთი მცირე დარბაზის სახით სრულიად საქართველოს ებაასებოდა. ასე მხოლოდ და მხოლოდ ერის უტყუარი მხედართმთავრები ეცემიან, საჯაროდ, ყველას თვალწინ, მთელი ქვეყნის დასანახად.

* * *

დღესაც აშკარად ვხედავ, როგორ შეხვდნენ ჯანსუღს ნოსტელები, რომელთაც პირველი სააკაძეობა გაემართათ. თითქოს და იმის მეტი აქ სხვა არავინ ყოფილიყოს. მახსოვს, ერთ-ერთმა ნოსტელმა ხიზამბარელმა ისიც კი უთხრა, შენ თავად გიორგი სააკაძისგან გამოგზავნილი მაცნე ხარო, რამეთუ მაშინდელი ავ-კარგი მთელი სიმართლით მოგეტანაო. არადა, ჯანსუღმა მართლაც საბოლოოდ ჩამორეცხა ამ დიდ ქართველს სხვათა და სხვათაგან სხვადასხვა დროს უსამართლოდ შესხმული ფეხთ ანაკრავი ტალახი, ანუ ძველებურად ტავარნა. ჯანსუღისგან სხვათა და სხვათა მიმართ ისიც თავისებური გამოწვევა იყო, რომ ერთ ყდა-კაბრაში მოაქცია „სული აღმაშენებელი“ და „გიორგი სააკაძის პიროვნება“. ხოლო მცირე წინათქმაში დაწერა, ჩემი მიზანი იყო, რომ გამეანალიზებინა ქართველი ხალხის ეროვნული ხასიათი ორი ურთულესი ეპოქის ფონზეო, დავით აღმაშენებლის დრო დაგვანახვებს ზეაღმავალ, ძალმოსილ, სრულყოფისკენ მიმსწრაფი ერის სახესო, გიორგი სააკაძის დრო გვიჩვენებს ისტორიის კრიზისულ წუთებში გამჟღავნებულ დიდ პოტენციას, დაკარგული წონასწორობის აღდგენისა და სრული მობილიზების უნარსო, ამ თვალსაზრისით, აუცილებელი მეჩვენება „სული აღმაშენებლისა“ და „გიორგი სააკაძის პიროვნების“ ერთ წიგნად გაერთიანებაო.

* * *

ჯანსუღ ღვინჯილიას ეს ისტორიული ჟანგბადით სავსე სულთ საკურნებელი წიგნები და გინდაც „ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა“ რომელიმე თაობისთვის გამიზნული სახალისოდ მოთხრობილი „ქართლის ცხოვრება“ როდია. გურამ ასათიანის შემდეგ იქნებ სწორედ ჯანსუღ ღვინჯილიაა ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეული მჩხრეკელი, ვინც ჩვენს ისტორიას ცრუქლაქუნა პატრიოტიზმის გასაღვივებლად კი არ იყენებდა, არამედ ამ ისტორიის მიხედვით ეროვნული ხასიათის ბიოგრაფიას ქმნიდა, ანუ, გურამ ასათიანისავე არ იყოს („სათავეებთან“), ცდას არ აკლებდა ქართული ხასიათისა და ესთეტიკური ბუნების ბოლომდე გარკვევას. მე არ ვიცი, სადმე აღნიშნული აქვს თუ არა, მაგრამ კარგად მახსოვს (ჩვენს რედაქციაშიც შეხვედრიან ერთმანეთს), რარიგ პატივს მიაგებდა ბუნებრივად ამაყი და ფრიად დიდი ნიჭითა და ცოდნით ერთგვარად თავმომწონე გურამ ასათიანი იმხანად ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მორცხვ მეგობარს, რომელშიც უთუოდ თავისი დიდი საქმის უტყუარ გამგრძელებელს ხედავდა.

* * *

ჯვარცმულის ანალოგიით, სრულიად თამამად შეიძლება, რომ ჯანსუღ ღვინჯილიას კალამცმული კაცი ვუწო-

# ჯანსუღ ღვინჯილია - 75





დოთ, ანდა სულაც წიგნცმული. მართლაც კალამი და წიგნი იყო ამ უცხოდ გამორჩეული კაცის ხელში უმთავრესი იარაღი. კი, როგორ არა, ქართველი იყო და სასმისიც სჭერია, სადღეგრძელოც იშვიათი იცოდა, სუფრას არ გაურბოდა, მაგრამ ქართულ ენერგიას მიწყივ სხვაგან ეძებდა. როგორც პოლემისტი ხომ უბადლო იყო. ერთხელ ლადო მრელაშვილმაც გულწრფელად დამიდასტურა, როცა კი ჯანსუღ ღვინჯილია ტელევიზორის ეკრანიდან ჩვენს წარსულზე ანდა დღევანდელ ცხოვრებაზე გვესაუბრება, მუდამ გაფაციცებული და გაოცებული ვუსმენო. ძალზე ღრმად იცის წვდომაო, გეგონება ფიზიკოსიაო, საგანს სულ მოლეკულებად შლისო. მართლაც, სათქმელს მძივივით ასხამდა, საკითხის ძირისძირობამდე დასვინაღრება უყვარდა. დასვინაღრება კი, საბას მიხედვით, ეს არს ზღვათა მოსინჯვა, რათა, „ნავი არა შეახეთქონ მეჩეჩთა“.

თუ საქმე მოიტანდა, უზენაეს ავტორიტეტსაც შებედავდა ხოლმე მართალ სიტყვას. ამის მომსწრე ერთხელ მთელი საქართველო გახდა. ერთმა კარგა გვარიანმა პოეტმა, მაგრამ მორგებული დროისგან, ცოტა არ იყოს, უზომოდ გაყვინიზებულმა, თავის ერთ-ერთ ახალ კრებულს მხოლოდ სახელი წააწერა, გვარი საჭიროდ აღარ ჩათვალა. იმასთან შებმა ცოტა ძნელი იყო, ჯანსული მაინც შეება, ამპარტავნობა და თავპატივი საქვეყნოდ დაუწუნა, თუმცაღა, მგონი, ეს შეჭიდება არცთუ კიტრის ფასად დაუჯდა.

ის კი არა, 1991 წელს, ვინმეს კი არა, თვით რუსეთს მისწერა წერილი. დიახ, „წერილი რუსეთს“, ასე ჰქვია „ქვათა ღაღადის“ შემდეგ ქართულ ენაზე, ალბათ, არ დაწერილა უფრო მძაფრი ეროვნული ბრალდება-წერილი. იქნებ მეშლება კიდეც, მაგრამ სხვა მსგავსი რამ არ მაგონდება. ურიგო არ იქნება, თუ „ქვათა ღაღადი“ და „წერილი რუსეთს“ ერთ ყდაში მოექცევა და ჩვენი ეროვნულობის თავდასაცავად სამუდამოდ ბირთვულ იარაღს გავუტოლებთ.

* * *

ნიშანდობლივია, რომ „წერილი რუსეთს“, მართალია, ცალკე გამოქვეყნდა საქართველოსთვის მეტად მძიმე ჟამს, მაგრამ ბოლოს „ქართველი კაცის სინამდვილეში“ გაერთიანდა. „ქართველი კაცის სინამდვილე“ 1989 წლიდან 2001 წლამდე იწერებოდა. მეოცე საუკუნის ბოლო ამ იშვიათმა წიგნმა მოიცვა. ჯანსუღ ღვინჯილია, როგორც იტყვიან, ბარიკადებზე დადგა, თავისი ხალხის, ქართველი ხალხის ენა-პირით აღაღადდა, ან იქნებ უფრო სწორი გამოდგეს, უკეთუ ამ ღაღადს გმინვას, დრტვინვას, აზავთებას დავარქმევდით. ჯანსულმა იმ ათწლეულში თითქოს ზურგი შეაქცია წარსულს, ანდა უფრო მართალი იქნება, თუ ვიტყვით, რომ წარსულსა და მომავალს შუა ჩადგა, აწმყოს ჯარისკაცად იქცა და იმჟამად დატრიალებული უბედურების მიზეზად ის დაინახა, რომ საქართველო არ წავიდა ილია ჭავჭავაძის გზით. ცხადია, თავად არც არასოდეს უფიქრია, ილია ჭავჭავაძე ვარ ანდა ილია ჭავჭავაძეობა უნდა გავწიოო, უაღრესი სითავმდაბლის სათნოება ამას აზრადაც არ გაუვლებდა თავში, მაგრამ, ნათქვამი რომ არის, გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო, დიახაც ისერიგად დაემართა, მდგომარეობამ ოთარაანთ ქვრივივით რკინის ქალამნები ჩააცვა და ხელშიც რკინის კეტი დააჭერინა, რადგან ერის წყლული აჩნდა წყლულად და, თქმა არ უნდა, უწინარესად სწორედ ამ ამბავმა თავისდა უნებურად გააილიაჭავჭავაძევა. მე ვიცი, რასაც ვამბობ, ამ შედარებას გაზვიადებად ნურავინ აღიქვამს. სწორედაც ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკის შემდეგ არ მეგულება სხვა უფრო მეტად ეროვნული ჭირ-ბოროტით გაჟღენთილი წიგნი, ვიდრე ჯანსუღ ღვინჯილიას ხსენებული „ქართველი კაცის სინამდვილეა“.

ნუ ვიცხოვრებთ საქართველოზე უკეთესადო, ერისა და ქვეყნის გასაგონად არისხებდა ზარებს „გიორგი სააკაძის პიროვნების“ განრისხებული ავტორი, მაგრამ როცა ხმა ვერავის მიაწვდინა, ახლა კითხვა დასვა, ალოღლეტია კაცთა სულ მცირე ჯგუფის ხელში ავად დაგროვილი და ქვეყნის დამღუპველი სიმდიდრისგან თავზარდაცემულმა, ვინ ცხოვრობს საქართველოში კარგადო? და იქვე განაჩენის დონეზე გამოიტანა მწარეზე მწარე დასკვნა: „არავითარი ბიზნესი! — ძვირფასი გამონაკლისების გარდა, საქართველოში ბიზნესის გზით არავინ არ გამდიდრებულა. გამდიდრდა საქართველოს ახალი ტიპის კაპიტალისტური ფენა ქვეყნის ყველა სახის ქონების მიტაცების გზით, ეროვნული და უცხოური ბანკებიდან დათრეული კრედიტებით, რომელთაგან ეროვნული ვალი ხელოვნურად გამოწვეული მანეთის სუპერინფლაციის გზით დაფარეს, ხოლო უცხოეთიდან წამოღებული კრედიტის უდიდესი ნაწილი სოციალისტურ ეპოქაში ნასწავლი ილეთით გადაიტანეს თავს ზემოთ და ჯამბაზის სისწრაფით მოიქციეს უძირო ჯიბეში.

იმის გასარკვევად, თუ ვინ ცხოვრობს საქართველოში კარგად, საგანგებო სტატიის დაწერა არც არის საჭირო. ყველასთვის გარკვეულია, რა ხალხი გახდა უზომო ქონების პატრონი, მაგრამ ჩვენთვის ურთულესი ამოცანაა, გავერკვეთ, ამ გზით მიმავალ საქართველოში რა მდგომარეობა შეიქმნება, რა ბედი ეწევა მის პოლიტიკას, ეკონომიკას, ტერიტორიულ მთლიანობას, ერის ფსიქიკას, ერის ზნეობას, ერის კულტურას, თავად ერს, რომელსაც ამოდენა ისტორიული გზა გამოუვლია...“

ჯანსულს არცროდის არ ავიწყდებოდა, რომ ვილაცისთვის წინაკაცი იყო და თავისი შემდგომისთვის ხიდობა უნდა გაეწია, სავალი გზა უნდა გაეადვილებინა.

ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გავაჭიაყელავო, ალბათ, უკვე დადგა დრო, რომ ჯანსუღ ღვინჯილიას ღრმად ეროვნული ნააზრევი ინტერნეტის საშუალებით ყველა ქართველს მისწვდეს, დღეს დედამიწის ზურგზე საშოვრად მიმოფანტულთ, ვისაც თუნდაც ოდნავ მაინც აუფანცქალებს გულს ახალი ათასწლეულის რთულ მებოძირზე სასიცოცხლო გზის მაძებარი საქართველო.

**გურამ გოგიაშვილი.**

**P. S. 21 ოქტომბერს ჯანსუღ ღვინჯილიას მშობლიური ბაღდათი, როგორც ჩანს, ჯანსუღისთვის ჩვეული მოკრძალებით აღნიშნავს თავისი ფრიად მოჭირნახულე შვილის საიუბილეო თარიღს. ამჟამინდელ ვითომ თავისუფალ, დამოუკიდებელ და დემოკრატიულ სრულიად საქართველოს, მომავლისკენ, დიდად სამწუხაროდ, კვლავინდებურად უცხოთა ჭკუითა და კარნახით მავალს, რატომღაც არა სცალია თავისი ღვაწლმოსილი ადამიანების მიერ ქვეყნისა და ხალხისთვის უანგაროდ გაწეული სათვალმჩენო ამაგის აღნიშვნისა და დაფასებისთვის, რაც აშკარად ცუდი მაგალითია ჩვენი ახალგაზრდა თაობის საკეთილოდ შესაგულიანებლად!...**

**გ. გ.**

◎ ხელთათმანი ნასროლია

# პოტიომკინის სოფელზე უარესი

## ჟურნალ „ცისკრის“ მესვეურებს

**გერმანელებს ღმერთის გარდა, არავისი ეშინიათ.**

**ბისმარკი.**

**2015 წლის 23 აპრილს თქვენთან დასაბეჭდად მოვიტანე და მთავარი რედაქტორის მოადგილემ ბაღათერ არაბულმა ჩაიბარა ჩემი კრიტიკული წერილის „პოტიომკინის სოფელზე უარესი“ ელექტროვერსია, რომელიც ბოლო ხანს ერთ-ერთ ქართულ ჟურნალში გამოქვეყნებულ მოთხრობას ეხება.**

**რაკი წერილი თქვენს ჟურნალში არა და არ გამოჩნდა, 7 ოქტომბერს რედაქციაში ხელახლა მოვედი მისი ბედის შესატყობად. ამხელადაც ისევ ბაღათერ არაბული დამხვდა, რომელმაც ცალყბად მაუწყა: როგორც კრიტიკის განყოფილების გამგემ, ისე რედაქციის დანარჩენმა ხელმძღვანელებმაც უვარგისად მივიჩნიეთო.**

**მე კი ასე მწამს: სხვადასხვა უკადრისი მოსაზრებებით გზას განზრახ უღობავთ როგორც მავანთათვის არასასურველად მიჩნეულ ავტორებს, ისე მწვავე კრიტიკასაც, დღევანდელ ქართულ ლიტერატურას კამკამა ჰაერივით რომ სჭირდება! მაგრამ ეს ჩემი წერილი იქნება და მართლაც სანაგვეზეა გადასაგდები?! ამიტომ ჭეშმარიტების დასადგენად უცვლელად ვაქვეყნებ ერთ-ერთ პოპულარულ გაზეთში და იმედს ვიტოვებ, მკითხველი საზოგადოებისა და მშობლიური მწერლობის პატივისცემის ნიშნად ხანდაუყოვნებლივ პრესაში თქვენც გაასაჯაროებთ მისი დაწუნების მიზეზს.**

**კოლეგიურად გთხოვთ, ნუ დამზოგავთ: წერილი კრიტიკის ქარცეცხლში გამიტარეთ და მთელი საქართველო ჩემზე აცინეთ — ვიღაც მწერლუკას აი, რა ჰგონია ლიტერატურა და ლიტერატურული კრიტიკა-თქო!!!**

**მაშ, ასე: ხელთათმანი ნასროლია და ოპონენტებს ჯარისკაცური მოთმინებით დაველოდები უშეღავათო ლიტერატურული პოლემიკის აუსტერლიცთან.**

**ჯემალ მეხრიშვილი.**

10.10.15.

**გურამ ქართველიშვილის** მოთხრობას **„ათოვდა...“**, რომელიც სრული ერთი ფურცელიც არ არის, წინ ყველგანმავალი მსუბუქი ტანკივით მიუძღვის ჟურნალის გვერდის მთელ სიგანეზე გაჭიმული, ცამეტსტრიქონიანი სარედაქციო წინასიტყვაობა. ერთგან ვკითხულობთ.

„... აქ აღწერილი სოფელი ჩაქურიც გაჭირვებული საქართველოს სახეა... მოთხრობის გმირი დემეტრა ბაიაური ზოგადქართული სინდისის ტკბილი სიზმარია...“



გასაკვირია, რედაქცია მკითხველებს ძირშივე რატომ უსპობს უფლებასა და მოსალოდნელ სიამოვნებას, ნაწარმოებში ეს თვითონ აღმოაჩინოს?!

მაშ, რა საჭირო იყო მკითხველების წინდაწინვე დასაკვალიანებელი ამგვარი პროპაგანდისტული ფანდი?! ხოლო მსგავსი რამ თუ მართლა აუცილებელია, მაშინ დანარჩენ ავტორთა ტექსტებსაც რატომ არ ახლავს ხოლმე მიგრეხილ-მოგრეხილი თოქმა ისრებით აჭრელებული, მკითხველების მხოლოდ სასურველი მარშრუტით მატარებელი „ტურისტული გზამკვლევარი?!“

ერთი სიტყვით, ამგვარი წინასიტყვაობა ტექსტის წაკითხვამდე მოგეჩვენებათ უადგილო, მისი წაკითხვის შემდეგ კი ცულლუტურ-აღმაშფოთებელი, ვინაიდან მკითხველებს ამ მაღალფარდოვანი დაპირების არც ერთი პუნქტი და მისხალი არ უსრულდება! რატომ? იმიტომ, რომ არც ავტორს და არც რედაქციას თურმე არაფერი გაეგება სოფლის და მით უმეტეს, მთის სოფლის: პირველი მათგანი რაღაცებს ვარაუდით ბლანდავს, რედაქცია კი ბალღივით უჯერებს და უბეჭდავს!

ამაში ახლავე ადვილად და თანაც არაერთხელ დარწმუნდებით!

თავიდან ჯერ თუგინდ ამას ჩაუკვირდეთ, ავტორი სოფელს სად წამოგვისკუპებს.

„გაშლილ ხეობაში ამოზრდილ გორაზე შემომჯდარ სოფელს ღამღამობით მშიერი მგლები მიადგებოდნენ“.

რაც კაცმა თავის თავს უყო, ქვეყანა რომ მიადგეს, ვერ უზამსო, სწორედ ამგვარ შემთხვევასაც ესადაგება!

აბა, ახლა ჯერ წარმოიდგინეთ ღვარცოფების სათარეშო ქვაღორღიანი, უნაყოფო და თანაც გაშლილი ხეობა, მერე ამ გაშლილ ხეობაში ამოზრდილი გორა (მუდმივი ღვარცოფების მიზეზით მსგავსი რამ თუკი შესაძლებელია!), დასასრულ, ამ გორის თხემზე „შემომჯდარი“ სოფელი! კი მაგრამ, ავტორი აღარ უფიქრდება, გორის ერთი ხელისდადება თხემზე „შემომჯდარ“ სოფელს არ უნდოდა მისაბრუნ-მოსაბრუნი, სამოსახლო, სამეურნეო შენობა-სათავსოები, გომურების, სათივეების, საძროხეებისა და ბაკების ადგილი, თუგინდ ერთი ნაბდის გაშლა ბაღ-ბოსტნები, სკოლა, სალოცავი, მისასვლელი გზა... სასაფლაო?!.

კეთილი, ამგვარ „წვრილმანებსაც“ თუგინდ თავი დავანებოთ და ერთი ეს ვიკითხოთ: ხშირწვიმიანობისას და მთებში თოვლის დნობის დროს ღვარცოფი რომ გაბატონდებოდა და **„გაშლილ ხეობაში ამოზრდილ გორაზე შემომჯდარი სოფელი“** ხშირ-ხშირად და დიდი ხნით დაუნდობელი სტიქიის სახიფათო ალყაში მოემწყვდეოდა, გარე სამყაროსთან საარსებო კავშირი როგორ უნდა დაემყარებინა?! თუ ავტორმა ამ სოფლის მაცხოვრებლებიც ჩიჩიკოვისებური მკვდარი სულებივით გრაფომანულ-დონკიხოტურად დაასახლა და სულაც არ ანაღვლებს, მერე ისინი იქ რითი და როგორ იარსებებენ?!

ამავე წინადადებაში ირკვევა, რომ ავტორი ენას ხეირიანად ვერ ფლობს და ამიტომაც არ ძალუძს აზრის სრულყოფილად და გასაგებად ჩამოყალიბება. როგორ გავიგოთ ეს **„სოფელს ღამღამობით მშიერი მგლები მიადგებოდნენ?“**

იხ. 8 გვ.

**(მეშვიდე გვერდიდან)** აქ თუ რომელიმე კონკრეტულ შემთხვევას გულისხმობდა, მაშინ უნდა იყოს „სოფელს მშიერი მგლები მიადგნენ (მისდგომოდნენ)“ და მერე მწერალი გაკვრით მაინც შეხებოდა მგლების ამ მიდგომის პროცესსა და შედეგს. ხოლო თუ მგლების ხშირ-ხშირ მიდგომაზეა მინიშნება — აქ კი სწორედ ეს არის ნაგულისხმევი, ვინაიდან ავტორს ნახმარი აქვს სიტყვა **„ღამღამობით!“** — მაშინ აუცილებლად უნდოდა ნაწილაკი **„ხოლმე“,** რომელიც მოქმედების მრავალგზისობას (!) გამოხატავს. უამისოდ კი წინადადება გამოდგა კუდმოწყვეტილი, აზრი დაუმთავრებელ-ბუნდოვანი.

თანაც სევდიან ღიმილს იწვევს ავტორის ფუჭი იმედი: ტექსტის დასაწყისშივე მკითხველებზე — როგორც ზღაპრების მოყვარულ ბავშვებზე! — სასურველი შთაბეჭდილება მოახდინოს სოფელს შემოჩვეული **„მშიერი მგლების“** (!!!) ხსენებით!

სამწუხაროდ, აქ მწერალი მეტისმეტად მოძველებულ ინფორმაციას ეყრდნობა! ნუთუ ბაიბურში არ არის, დღეს რა ხდება და ტელევიზია რას იუწყება ხოლმე: სადღაც მთაში **„გაშლილ ხეობაში ამოზრდილ გორაზე შემომჯდარ სოფელს“** და თანაც მარტო **ღამღამობით** კი არა, გამრავლებულ-გათამამებული მგლები ბარის სოფლებსა და თვით ზოგიერთ რაიცენტრშიც კი დღისით-მზისით დათარეშობენ, პირუტყვს ბოლუქ-ბოლუქ ანადგურებენ და თავს ადამიანებსაც კი ესხმიან! ამის გამო ბევრი სოფლისა და დაბის მაცხოვრებლებს შებინდების შემდეგ შიშით გარეთ ველარ გამოუბედავთ! მოთარეშე მგლების ხროვასთან საბრძოლველად ბევრგან მონადირეთა რაზმებიც შექმნეს! აი, ამ დროს ბ-ნი გ. ქართველიშვილი კი...

ჩემი ამგვარი მსჯელობა მწერლის თავისუფალ შემოქმედებით პროცესში უხეშ ჩარევად ნურვის მოეჩვენება. უბრალოდ, ამ ტექსტით მოხიბლულმა რედაქციამ თავის მრავალმნიშვნელოვან წინასიტყვაობაში რაკი საქართველოს გაჭირვებული სოფლის **„უსახსრობა, სიღატაკე, შიმშილი და ოცნება უცხოეთის ვიზებზე“** საგანგებოდ გახაზა, ნაწარმოებში ერთობ დილეტანტურ-სპეკულაციურად ჟღერს თავიდანვე **მგლების** ხსენება, რასაც არც სიუჟეტური მოტივაცია ახლავს, არც მხატვრული შედეგი! თორემ მგლები კი არა, თუკი ოდესმე, მაგალითად, დათვს ამ სოფლის ნათესულობა ან საფუტკრე წაუხდენია, სადმე ტურას შეუკივლია, ყორანს ყრანტალ-ყრანტალით გადუფრენია თუ მელას ყვინჩილა გაუცუნცულებია, ავტორს თუგინდ ესეც ჩაეწერა — წინ ვინ დაუდგებოდა!...

*   *   *

მწერალი ვერც ბუნებრივი მოვლენების ხასიათსა და პროცესებში ერკვევა. უფრო სწორედ, სულ არ უკვირდება, რას წერს, თორემ რომ უფიქრდებოდეს, ამას რა გარკვევა უნდოდა! აი, როგორია ტექსტის პირველივე წინადადება.

„ჩაქურში გაძვალტყავებული ზამთარი დღეებს ათვლევინებდა ხალხს“.

ცოტა მოგვიანებით კი წერს.

„წყალკურთხევას გათოვდა... მუხლამდე იდო“.

ეს კიდევ რა არი, არაფერი! ავტორი ახლა იმდაგვარ დიდთოვლობას დაგვიხატავს, რომლის მსგავსი, ალბათ, თვითონ მწერლის მეტს სხვას არავის ექნება ნანახი.

**„...მოხუცმა აღმართი მოათავა** (უნდა იყოს **აათავა. — ჯ. მ.**). **თოვლში შეფუთული საყდრის დანახვამ სიმშვიდე დაუბრუნა“.**

თუკი წყალკურთხევისას, ანუ შუა იანვარში ირგვლივ თოვლი მუხლამდე დევს, ხოლო საყდარი (!!!) თოვლშია შეფუთული (!!!), მაშინ ჯერ რანაირად შეიძლება ზამთარს ასე ქარაფშუტულად **„გაძვალტყავებული“** უწოდო?! გაძვალტყავებული კი არა, თურმე საკუთარ ტყავშიც ველარ ტეულა და აგერ, ეკლესიაც კი მთლიანად თავისი ფუმფულა საბურველით შეუფუთავს!!!

სინტაქსი? რას ნიშნავს ეს გამაოგნებელი თუ სიცილის მომგვრელი **„ჩაქურში გაძვალტყავებული ზამთარი?“** ყირამალა გადატრიალებული სინტაქსით აქ ისე გამოდის, თითქოს სხვა სოფლებში ზამთარს მაძღრისად კვებავდნენ და ასუქებდნენ, ხოლო ჩაქურში გადანაცვლებისას აქაურების უქონლობის, სიძუნწის, უყურადღებობა-უპატივცემულობის ანდა მკვეთრად განსხვავებული კლიმატის მიზეზით შესაბრალისად გაძვალტყავებულიყოს!

ჯერ ერთი, აქ რა საჭირო იყო ეს აბსურდული **„გაძვალტყავებული“,** ხოლო თუ აღარ დაიშლიდა, წინადადება ნუთუ ასე მაინც ვერ უნდა აეგო.

„გაძვალტყავებული ზამთარი ჩაქურელებს დღეებს ათვლევინებდა“.

**„დემეტრა ბაიაურს ხინკლის თადარიგი წინა დღით** (უნდა იყო წინადღით. **ჯ. მ.**) **ჰქონდა დაჭერილი“.**

ხინკალს რა თადარიგი უნდოდა, თანაც წინადღით — ქორწილია თუ იალაღებიდან ხატში დასაკლავი კურატის მოგდება?! მოულოდნელად გამოჩენილი სტუმრისადმი მთაში ასეთი მიმართვაც კი ცოცხლობს: თუ დრო გაქვს, ქათამს დაგიკლავ, ხოლო თუ ძალიან გეჩქარება, მაშინ ხინკალს მოვუხვევო!

ავტორის გულწრფელი სურვილია, ეს დემეტრა ბაიაური ბრძენკაცად წარმოგვიდგინოს, მაგრამ თავისი წინდაუხედაობით ცხოვრების უმეცარი პერსონაჟი კი გამოსდის.

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ამ სოფლის ქონებას კოლ-ბის თავ-რე გედეონ ფურცხიძე გაფლანგავს და **„აღებული ფულიანად აორთქლდება“.**

# პოტიომკინის სოფელზე უარესი



აბა, დემეტრა ბაიაური ამას როგორ შეარჩენდა!

**„მაშინ დემეტრამ აატალახა რაიონის ხელისუფალთ კაბინეტები, მაგრამ ყველა მოქრთამული და პირში წყალჩაგუბებული დაუხვდა. ბოლოს რკინის ქალამანი მოირგო** (ო, ცალქალამნიანი ყოფილა! ნეტავი ან ის ერთი ქალამანი როგორ ექნებოდა — ხო არ უჭერდა?! **ჯ. მ.**) **და გედეონას მაინც მიაგნო. ერთ ღამეს ცხენით გადაიარა მთები და აგარაკზე მოღრუტუნე** (მოღრუტუნე — ღორი ხომ არ იყო?! ჯ. მ.) **ფურცხიძეს თავი გაუხეთქა თავისი განუყრელი კეტით, ეგებ მიჩივლოს და სასამართლოზე მაინც გამოვამზეურო მაგის კაიკაცობაო“.**

გ. ქართველიშვილის რჩევით ფურცხიძემ, ცხადია, არ იჩივლა!

აბა, დაუფიქრდით: ეს ათასგვარ ჭირ-ვარამსა და საბჭოურ უსამართლობას წვნეული ბერიკაცი ნუთუ მართლა ისეთი მიამიტი იქნებოდა, ამგვარი იმედი ჩასახვოდა: თუკი რაიონის მოქრთამულ ხელმძღვანელობას ვერაფერი შეასმინა, თავის სიმართლეს მაშინდელი სასამართლოს ინსტანციებში კი იპოვიდა?! ფურცხიძეს წინ რაღა დაუდგებოდა, ახლა ისინიც არ მოექრთამა?! მოქრთამვაც იქით იყოს: ამგვარი პარტიზანულ-თვითნებური საქციელისა და სხეულის მძიმე დაზიანებისთვის იმ საწყალ ბერიკაცს უეჭველად ციხეში ჩააყუდებდნენ! ამიტომ ეს ბაიაური სისხლსავსე პერსონაჟი რომ გამოსვლოდა, ნათავმჯდომარლისთვის თავი იმის ბრიყვული იმედით კი არ უნდა გაეხეთქა — მიჩივლებს და სასამართლოზე მისი ნაავკაცრობა გამომზეურდებაო, არამედ საციხედაც რომ გამიხდეს საქმე, სოფლის ჯავრს მაინც ამოვიყრიო!..

ერთ დღესაც ეს დემეტრა თავის დედაკაცს განუმარტავს.

„საყდარში ავალ. ჩვენ მაინც დავუნთოთ სანთელი გამჩენს“.

დემეტრა მართლაც ავა საყდარში, ოღონდ ეგაა, ამ უკუღმართი სინტაქსის მიზეზით ავტორსა თუ თვითონ მოხუცს სანთლის წაღება და დანთება დაავიწყდება.

**„პირჯვარი შორიდანვე გამოისახა და ქუდმოშვლეპილი შევიდა კარში** (კარში კი არა, სათავსოში შედიან ხოლმე! **ჯ. მ.**). **ილოცა, მერე ტაძრიდან თავისივე შეჭედილი კიბე გამოათრია და სალოცავს კრამიტი გადაუთოვლა“.**

ამ პაწია ციტატაშიც კი ისეთი დილეტანტიზმი, ენის უცოდინარობა და დაუკვირვებლობაა გამეფებული, ჯვარცმულმა მკითხველმა აღარ იცის, საიდან დაიწყოს ან რით დაამთავროს!

**ხის კიბე** ხატია, ხმალი, სკივრი თუ საციმბიროდ გამწესებული კატორღელის ხელბორკილი, ავტორი **შეჭედილს** რომ უწოდებს?! კრამიტი გადაუთოვლაო! შენობას მაინცდამაინც კრამიტს, თუნუქს, შიფერს, ნამჯას, ჩალას თუ პლასტიკატს კი არ გადაუთოვლავენ ხოლმე, არამედ **სახურავს!**

ავტორს აგრეთვე არ ესმის ანდა არ უფიქრდება გადათოვის არსსა და პროცესს. აქ კიბე მეორეხარისხოვანია! პირველხარისხოვანი ის იარაღია, რითაც ნებისმიერ შენობა-ნაგებობას სახურავი უნდა გადაუთოვლონ! ამიტომ ბერიკაცს რაკი კიბე გამოატანინა, მაშინ უეჭველად რომელიმე ინსტრუმენტიც უნდა გამოეტანინებინა! თორემ მხატვრულობის თვალსაზრისით ტექსტში ამოუვსები ღრმული წარმოიშვა — დემეტრამ კიბე კი გამოიტანა, მაგრამ მკითხველი ველარ ხედავს, ვერ იგებს, **„თოვლში შეფუთულ საყდარს“** სახურავი როგორ და რითი გადაუსუფთავა: ნიჩბით, აქანდაზით, ცოცხით, თოხით, ბარით, ხელსახოცით, ქუდით, წკეპლების კონით, კალთით თუ... ბერვა-ბერვით! თანაც, ეტყობა, ავტორს მიახლოებითი წარმოდგენაც კი არა აქვს, რანაირ ხიფათთან, რისკთან, სიფრთხილესთან, საქმის ცოდნასა და ჯაფასთან არის დაკავშირებული ნებისმიერი სახურავის და მით უმეტეს მესხლეტი კრამიტით თავგადახურული შენობის გადათოვლა!

ბერიკაცი საყდარში თავის საქმეს მორჩება.

„საყდარი დაკეტა და მხნედ გაალაჯა“.

როგორ თუ **დაკეტა?!** რატომ უნდა **დაეკეტა** — თავისი წერტი იყო თუ საწვრილმანო ჯიხური?! თუკი წელან **დაუკეტავ** საყდარში თვითონ დაუბრკოლებლად შევიდა და გულმხურვალედ ჩამოატყავა, მერე იქნებ სხვასაც მოწყურებოდა ლოცვა?! მაშ, რა საჭირო იყო საყდრის გამოკეტვა?! ანდა, რითა და როგორ დაკეტა?

ეტყობა, მწერალი ერთმანეთისგან ჯერ ვერ ანსხვავებს კარის **გამოხურვას** და კარის **დაკეტვას!..**

თანაც დაუძლურებულ ბერიკაცს, რომელმაც თავისი ალალი სული მალე ღმერთს უნდა მიაბაროს, ავტორი აი, რამდენს ასაქმებს, მიატარ-მოატარებს და მძიმე სამუშაოს შეასრულებინებს.

**„..ხინკალი ოსტატურად გაკბიჩა** (ნეტავ ეს ოსტატურად გაკბეჩა რაღაა?! ჯ. მ.) **არაყი გადახუხა და წასვლას დაადგა... ოცდაათი წლის წინათ გათლილი განუყრელი ჯოხი მოძებნა და საყდრისკენ აუყვა გაუკვალავ შარას** (გაუკვალავი თოვლი იყო და არა შარა. **ჯ. მ.**). **მუხლამდე იდო... აღმართი მოათავა... ილოცა... მერე ტაძრიდან... კიბე გამოათრია და სალოცავს კრამიტი გადაუთოვლა...**

ჰოდა, ყოველივე ამის შემდეგ მეტისმეტად როყიოდ ჟღერს ეს **„გაალაჯა“,** როცა ჯერ საერთოდ ბერიკაცს სულ არ შეჰფერის ლაჯუნით სიარული, მით უმეტეს არაყდალეულსა და ნატარ-ნაჯაფარ დემეტრას აღარც ექნებოდა საამისო ილაჯი და თან მაინცდამაინც არც იყო **ლაჯუნით** სიარულის აუცილებლობა!

*   *   *

ბოროტების იმპერიის დანგრევიდან ოცი წელი გავა. მთელი ამ ხნის მანძილზე სადღაც გადაქაჯული, ახლა კი გადეპუტატების მოწადინე გედეონ ფურცხიძე ისევ ამოყურყუმელავდება და თურმე დამშეულ-დაბეჩავებული თანასოფლელების მოღორებას ლამობს!

**„შორიდანვე გამოჩნდა კოშკთან მიყენებული შავი ჯიპი** (უნდა იყოს „ჯიპი“ **ჯ. მ.**), **რომლის ღია სალონიდან დაკრული** (ზიანის მეტი არაფერი მოაქვს აქ ამ სიტყვას „დაკრული“ **ჯ. მ.**) **მქუხარე ლეკური სოფელს აყრუებდა. მანქანის ცხვირთან ოციოდე ტომარა ეგდო ფქვილით სავსე** (ო, ისევ ეს ჩიქორთულობა და ძარღვებგადახლართული სინტაქსი!!! **ჯ. მ.**) **და პურმარილი** (უნდა იყოს პურ-მარილი ჯ. მ.) **პირდაპირ კაპოტზე იყო გაშლილი. სოფლის დამშეული კაცები მონდომებით ილუკმებოდნენ და იქვე მდგარ გედეონა ფურცხიძეს გადეპუტატებას წინასწარ ულოცავდნენ“.**

ნუთუ ვინმე დაიჯერებს, მსუბუქი ავტომობილი „ჯიპი“ ოციოდე ფქვილის ტომარას დაიტევდა და დაძრავდა, თან მთის უხეტმახეტ გზებზეც დაუზიანებლად ატარებდა?! თუმცა, ამას რაღა მნიშვნელობა აქვს?!.

ერთი სიტყვით, ეს სიკვდილმოახლოებული ჩაჩანაკი ბერიკაცი მთელი სოფლის საკაცეთის თვალწინ ფალავანთფალავანივით გადაენთება და თავისი განუყრელი კომბლით გედეონას გოგრას ხელმეორედ ისეთი სისწრაფით გაუხეთქავს, ხელის აკვრასაც ვერვინ მოასწრებს!

**„თავგახეთქილი დეპუტატი** (უნდა იყოს დეპუტატობის კანდიდატი. **ჯ. მ.**) **მანქანის საჭისკენ მიბობღავდა. დამფრთხალი ჩაქურელები კედელს აეკვრნენ. ჯიპი დაიქოქა და თოვლის ბუღი დააყენა. გაქცეულმა ფურცხიძემ თოვლზე სისხლი, მიმოფანტული პურმარილი და ქრთამად მოტანილი ფქვილის ტომრები დატოვა“.**

ეს ყველაფერი ისეთი სქემატურ-თვითმიზნურია, მიკვირს, ამას მკითხველებს როგორ სთავაზობენ! ტექსტში აბზაცი არ მოიძებნება, სოფლურ ყოფაში გაუთვითცნობიერებლობის დამღა არ აჯდეს. რად ღირს თუგინდ აი, ეს „აღმოჩენა!“

**„იმ ზამთარს მზე წყალობდა** (უნდა იყოს **სწყალობდა. ჯ. მ.) ჩაქურს და დღისით შეშას აზოგინებდა** (უნდა იყოს **აზოგვინებდა. ჯ. მ.**).

კვლავ დაუფიქრებლობა, მხატვრული აზროვნებისა და წერის უკულტურობა და რაც ყველაზე სამწუხაროა, სწორედ იმ სფეროსთან უგვანო ბღლაძუნი, რისი ინჩიბინჩიც არ გაეგებათ!

მაგას მალე დავინახავთ, მზეს მართლა შეეძლო თუ არა ჩაქურელებისთვის შეშა დაეზოგვინებინა, მაგრამ ჯერ ერთი ეს ვიკითხოთ: რა საჭირო იყო აქ სრულებით ზედმეტი სიტყვა **„დღისით?“** თუკი მართლა აზოგვინებდა, ისედაც ცხადია, მზე მხოლოდ დღისით დააზოგვინებდა, თორემ სოფლელებისთვის მზეს შეშა ღამითაც როგორ უნდა დაეზოგვინებინა, როცა ამ დროს „აქ“ აღარ არის და დედამიწის მეორე ნახევარსფეროშია „წასული!“ ეგეც არ იყოს, ამ დროს მზის დახმარება ვიღას რად უნდა — ღამღამობით (!!!) რომელი ჭკუათამყოფელი დაიფრთხობს ძილს და ყოველ ორ-სამ საათში შეშის შესაკეთებლად წამოვარდება! ამ დროს ვიღას რად უნდა მოგუზგუზე ღუმელი თუ ბუხარი?!

ავტორი და რედაქცია სოფლურ ყოფაში რომ ერკვეოდეს, მაშინ ასე ზერელედ აღარ მოეკიდებოდნენ მზისა და შეშის ურთიერთობას. არამცთუ ზამთრის ხანმოკლე და უსითბო მზე, არამედ ზაფხულის თაკარა მზეც კი მთის სოფლელებს ვერანაირად ვერ აზოგვინებს შეშას! რატომ? მთის სოფლებს ჯერ დღესაც უსისტემოდ მიეწოდება ელექტროდენი და თხევადი გაზი, ბევრგან კი გაზის ბალონებიც წყვეტილად მიაქვთ. თანაც მათი ხარჯვა ძალიან ძვირი უჯდებათ.

იმდროინდელი ჩაქური? გ. ქართველიშვილს მოუსმინეთ.

„სოფელი რომ შემოევლო კაცს, ხუთი ლარი არ შეგროვდებოდა“.

ჰოდა, ჩაქურელებს იმ გაძაღლებულ დროს კიდევაც რომ ჰქონოდათ დენიცა და გაზიც, დანახარჯი რითი უნდა გადაეხადათ?! ერთადერთი ხსნა და ნუგეში ისევ და ისევ მამაპაპური ბუხარი, ღუმელი და ზედადგარი იყო! ამიტომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ზამთრის უნიათო მზე გვიღიმის ავადმყოფურად თუ არემარეს ივლისაგვისტოს ხვატი ბუგავს! მთის სოფლებში დღესაც კი ზამთარ-ზაფხულ რამდენიმე ღუმელი უნთიათ ხოლმე: კერძი, სარეცხი, აბანო, სტუმარი, ჭირი, ლხინი... წველა-დღვება!... სალაფავი... ჯერ მარტო ჟიპიტაურის გამოხდისას რამოდენა შეშა იბუგება!!!

ნუღარ იკითხავთ ამ დამშეულ ქვეყანაში ხილ-ბოსტნეულის შემოსვლას – ნაირ-ნაირი კომპოტები, მურაბები, ხილფაფა, წვენები, მწნილი, აჯიკა, ტომატი, ტყემალი, საწებლები... ო, რა ჩამოთვლის! ცეცხლთან ტრიალისგან მეფოლადეებივით გაშავრკინებულ დიასახლისებს აქლემისებურ ზედადგარზე უდგათ მოსახუფავი ქილებით სავსე ორმოცლიტრიანი მდუღარე ქვაბები! შეშას უკეთებენ და უკეთებენ, რათა მოსავლის მილევაგაფუჭებამდე რაც შეიძლება მეტი მარაგი გაიკეთონ, ზამთრობით შიმშილით რომ არ დაიხოცონ!

აი, სინამდვილეში რა ხდება! ავტორი კი მთის ტყიან სოფელში ზამთრის მატყუარა მზის მიერ იქაურებისთვის შეშის დაზოგვის რაღაც არაბულ ზღაპრებს გვიამბობს!..

ერთი სიტყვით, ეს ჩაქური პოტიომკინის სოფელზე უარესია!

* * *

სოფელი სოფლად, მაგრამ რედაქციამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს დასაბეჭდი ტექსტების რედაქტირებას.

„ესღა აკლდა ამ **გატყაულ** სოფელს“. უნდა იყოს **გატყავებულ**.

„ამ **ტვიფაროს** კედლის ძირში არავინ დაასაფლავებინა“. უნდა იყოს **ტვიფრის** ან **ტვიფარის**.

„ამღვრეულ წყალში თევზი ადვილად **იჭირებაო**“.

რა სიტყვაა **იჭირება?!.** თუმც შეიძლება ავტორი მართალიც იყოს: ეტყობა, ის თევზიც მწერლის სახელსა ჰგავს, დღევანდელი წრეობანაობის პირობებში ხელის ერთი ჩაყოფითაც ადვილად რომ **იჭირება!**

„ათასობით ცხვარი **ბოინში** დაკლა“.

ავტორისადმი პრეტენზიის წაყენებას აზრი აღარა აქვს – ნუთუ რედაქციაში მაინც არავინ იცოდა, რომ , „БОЙНЯ“ ქართულად **სასაკლაოს, სასალახოს** ნიშნავს?! მაგრამ, ეტყობა, თავიანთი სასურველი ავტორების ტექსტებს აქ პირდაპირ წაუკითხავად ბეჭდავენ!

„ბინდი ზამთრისპირულად ადრე მიეპარა სითეთრეს“.

აქ ავტორს რომ ეთქვა, მაგალითად, ზაფხულთან შედარებით არემარეს ბინდი ადრე წაეპარაო, ეს სრულიად ბუნებრივი იქნებოდა. მაგრამ როცა ზამთარია, ეს ბინდი **„ზამთრისპირულად“** ვერც ადრე „მიეპარებოდა“ და ვერც გვიან – იგი სწორედ **„ზამთრისპირულად“,** ანუ ზუსტად თავის დროზე მიეპარებოდა!

„ბოჩოლას შუბლზე თეთრი ნიკორი **დაყვა“**. უნდა იყოს **დაჰყვა.**

ავტორი ბერიკაცის გარდაცვალებას ასე აღწერს.

**„მოხუცი იქვე ჩამოჯდა და ხბოს ნიკორს მიშტერებულს** (აქ მძიმე უნდოდა. **ჯ. მ.**), **მშვიდად ამოუვიდა სული. ჯერ სახლის თავზე იფრინა** (ავტორი აქ გარდაცვლილის სულს გულისხმობს. **ჯ. მ.**), **მერე საყდარს დახედა და ბოლოს ბახაანთ მგელას კოშკზე შემომჯდარი** (აქაც მძიმე უნდოდა. **ჯ. მ.**), **მსუბუქად აყვა** (უნდა იყოს **აჰყვა. ჯ. მ.**) **ცისკენ ფანტელებს“.**

ავტორი ყველაფერზე ისეთი წრეგადასული დაუფიქრებლობით წერს, გატანჯულ მკითხველს ხან ეჭვიც კი უჩნდება: რაღაც მიზეზით ამას განზრახ ხომ არ შვრებაო!!!

ბერიკაცის სული თუკი კოშკზე შემოჯდა, მაშ, კოშკზე შემომჯდარი ცისკენ ფანტელებს როგორ აჰყვებოდა – ეს კოშკი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი ხომ არ იყო?! ანდა, დემეტრას სული ცისკენ ფანტელებს რანაირად უნდა აჰყოლოდა, როცა ბუნებაში პირუკუ ხდება – თოვლის ფანტელები ციდან დედამიწისკენ ეშვება!!!

ერთი სიტყვით, ავტორებთან ურთიერთობისას რედაქციებს მეტი პროფესიონალიზმი და პრინციპულობა მართებთ!

**ჯემალ მეხრიშვილი**

საქმე №1/120-2015

# საარბიტრაჟო დადგენილება

## შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

## საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

15 ოქტომბერი 2015 წელი ქ. თბილისი

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

**საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „KAPI“**

**საარბიტრაჟო მოპასუხე: დავით ნიკურაძე**

**დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია**

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 30 ივლისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „KAPI“-ს სარჩელი მოპასუხე დავით ნიკურაძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2012 წლის 20 იანვარს შპს „KAPI“-სა და დავით ნიკურაძეს შორის დაიდო №1.13.72 საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „KAPI“-მ მსესხებელზე გასცა 2300 ლარის ოდენობით სესხი, ყოველდღიური 0,23 საპროცენტო სარგებლით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 18.02.2012წ.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: – მარკა, მოდელი: ჰონდა სტრიმი; ტიპი: ვენი; ფერი: იისფერი 8/8; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2001; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №RN21002617; სარეგისტრაციო მოწმობა: AV7689446; სარეგისტრაციო ნომერი: HGH010.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე დავით ნიკურაძეზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ყადაღა დაედო დავით ნიკურაძის საკუთრებაშინ არსებულ უძრავ ნივთს.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე დავით ნიკურაძეს სამჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციის, ასევე ხელშეკრულებაში მითითებულ ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არყოფნისა და მისი მოუძიებლობის გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე დავით ნიკურაძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და საარბიტრაჟო განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე დავით ნიკურაძე მისი რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე დავით ნიკურაძეს (პირადი №01018002822) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „KAPI“-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. დავით ნიკურაძეს განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე დავით ნიკურაძეს ეცნობოს, რომ 2015 წლის 17 ნოემბერს 10:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11 დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „KAPI“-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით დავით ნიკურაძის მიმართ.

5. დავით ნიკურაძეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

## ალიან-ჩალიანი

### სერვისცენტრი ფერმერებს მოემსახურება

**საჩხერის მუნიციპალიტეტში ფერმერთა მომსახურებისა და მექანიზაციის სერვის ცენტრი გაიხსნა. ცენტრი იმერეთში სახელმწიფოს რწმუნებულის პირველმა მოადგილემ პაატა ნადირაძემ, საჩხერის გამგებელმა მალხაზ ბაზაძემ და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებმა გახსნეს. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის ღირებულება 19.5 მილიონი დოლარია.**

**პროგრამის მიზანია სოფლად შემოსავლების ზრდა და სამუშაო ადგილების შექმნა, აგრობიზნესში ინვესტიციების მოზიდვა და ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა. თანხის ძირითადი ნაწილით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკა და მისაბმელები შეიძინეს, რადგან რაიონში მცხოვრებლებს დაეხმარონ. ცენტრი იმერეთის რეგიონში 7000 ფერმერს მოემსახურება, 4000 ფერმერს კი ტრენინგი ჩაუტარდება, რაც ხელს შეუწყობს მათ მიერ მოყვანილი პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. ასევე, გათვალისწინებულია მექანიზაციის და ფერმერთა მომსახურების ცენტრების, სასაწყობო მეურნეობის, მცირე და საშუალო ზომის გადამმუშავებელი საწარმოების დახმარება, რის შემდეგაც სოფლის მეურნეობის დარგში არსებული მომსახურების ხარისხი გაუმჯობესდება.**

### ქართველი მრევლი ოკეანისგაღმიდან გვეხმარება

**სტიქიის შედეგად დაზარალებულ სვანიძის ქუჩის მცხოვრებლებს 16 600 ლარის შემოწირულობის საყოფაცხოვრებო ნივთები გადაეცათ.**

**სვანიძის ქუჩაზე შემოწირულებები ნიუ-იორკის ქართული ეკლესიის, წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის წინამძღოლმა დეკანოზმა ალექსანდრე თანდილაშვილმა მიიტანა. ნიუ-იორკის წმინდა ნინოს სახელობის მრევლმა 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებული სვანიძის ქუჩის მცხოვლებისათვის 7 400 დოლარი შეაგროვა. ჰუმანიტარულ ტვირთს სვანიძის ქუჩის მცხოვრებლები დახვდნენ და დეკანოზ ალექსანდრესა და ნიუ-იორკის ქართული ეკლესიის მრევლს მადლობა გადაუხადეს.**

**როგორც დეკანოზმა ალექსანდრე თანდილაშვილმა განაცხადა, საქართველოსთვის ნიუ-იორკის წმინდა ნინოს მრევლმა არაერთი შემოწირულობა შეაგროვა და ეს პირველი შემთხვევა არ არის. სვანიძის ქუჩის მცხოვრების ლიკა დაბრუნდაშვილის თქმით, მათთვის დახმარება ნიუ-იორკში მცხოვრებ, წარმოშობით ქართველ ლელა ჭელიძის ორგანიზებით მოხდა. მათთან შეთანხმებით მოხდა სასურველი საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა, ეს არის მაცივრები, სარეცხი მანქანები და სხვა ტექნიკა. ასევე სვანიძის №19-ში მცხოვრები ნინო შონიას თქმით, ოთხი თვის განმავლობაში ეს პირველი დახმარებაა, რომელიც მან სტიქიის შემდეგ მიიღო.**

### ზოგიერთ უბანში ტრანსპორტის მოძრაობა აიკრძალება

**„თბილისობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, დღეს 21:00 საათიდან 18 ოქტომბრის 23:00 საათამდე, დედაქალაქის გარკვეულ უბნებში აიკრძალება ავტოტრანსპორტის მოძრაობა.**

**შსს-ს ცნობით, 16 ოქტომბერს, 18:00 საათიდან მოძრაობა აიკრძალება ვარდების მოედანზე, ხოლო 21:00 საათიდან ღვინის აღმართიდან და მეტეხის ქუჩიდან ევროპის მოედანის მიმართულებით, ევროპის მოედნიდან მეტეხის ხიდის და გორგასლის მოედნის მიმართულებით. ავტომანქანები ასევე ვერ იმოძრავებენ გორგასლის ქუჩაზე, თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტამდე. მარჯვენა სანაპიროზე ავტომანქანები ორმხრივად იმოძრავებენ გორგასლის ქუჩის მიმართულებით.**

**„თბილისობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებებზე დასწრების მსურველებს ავტომანქანების გაჩერება შეეძლებათ ევროპის მოედანზე, მიწისქვეშა ავტოსადგომზე და ავლაბრის მოედანზე. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით გაძლიერდება პატრულირება ქალაქის პარკებში, სკვერებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სადაც გაიმართება სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიება.**

**ინტერპრესი**

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2015 წლის „16.10“
№ ს-512 ბრძანებით

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 245444844 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10 |
| 3 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 4 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შემდეგ შესაბამისი სამუშაოების ჩატარებამდე ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ტოპოგრაფიულად დასაბუთებული მოპოვების მეთოდებით).<br>ბ) დაცული იქნას საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს ნორმატიული კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 5 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | შუახევის მუნიციპალიტეტის, სოფ. გორხანაულის მიმდებარედ, „მდ.აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება". (კატეგორია - P, მისაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 57 656 მ³.) |
| 6 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორხანაული |
| 7 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 028 ლარი |
| 8 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10%) | 1002.8 ლარი |
| 9 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 3 000 ლარი |
| 10 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 22 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 25 ნოემბერს 18.00 საათზე |
| 11 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 25 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 25 ნოემბერს დღის 18. 00 საათზე |
| 12 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 13 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2015 წლის „16.10“
№ ს-513 ბრძანებით

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებს და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 245444844 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10 |
| 3 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 4 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შემდეგ შესაბამისი სამუშაოების ჩატარებამდე ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ტოპოგრაფიულად დასაბუთებული მოპოვების მეთოდებით).<br>ბ) დაცული იქნას საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს ნორმატიული კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 5 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხულოს მუნიციპალიტეტის, სოფ.პაქსაძეების მიმდებარედ, „მდ.აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება". (კატეგორია - P, მისაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 5 750 მ³.) |
| 6 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი პაქსაძეები |
| 7 | აუქციონის საწყისი ფასი | 1 000 ლარი |
| 8 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10%) | 100 ლარი |
| 9 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 500 ლარი |
| 10 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 22 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 25 ნოემბერს 18.00 საათზე |
| 11 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 25 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 25 ნოემბერს დღის 18. 00 საათზე |
| 12 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 13 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2015 წლის „16.10“
№ ს-514 ბრძანებით

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 245444844 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10 |
| 3 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 4 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შემდეგ შესაბამისი სამუშაოების ჩატარებამდე ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ტოპოგრაფიულად დასაბუთებული მოპოვების მეთოდებით).<br>ბ) დაცული იქნას საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს ნორმატიული კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 5 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხულოს მუნიციპალიტეტის, სოფ.პაქსაძეების მიმდებარედ, „მდ.აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება". (კატეგორია - P, მისაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 12 134 მ³.) |
| 6 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი პაქსაძეები |
| 7 | აუქციონის საწყისი ფასი | 2 110 ლარი |
| 8 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10%) | 211 ლარი |
| 9 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 000 ლარი |
| 10 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 22 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 25 ნოემბერს 18.00 საათზე |
| 11 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 25 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 25 ნოემბერს დღის 18. 00 საათზე |
| 12 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 13 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2015 წლის „16.10“
№ ს-515 ბრძანებით

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 245444844 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10 |
| 3 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 4 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შემდეგ შესაბამისი მომსახურების ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ტოპოგრაფიულად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს ნორმატიული კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 5 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხულოს მუნიციპალიტეტის, სოფ. პაქსაძეების მიმდებარედ, „მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება“. (კატეგორია - P, მისაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 6 599 მ³) |
| 6 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი პაქსაძეები |
| 7 | აუქციონის საწყისი ფასი | 1 148 ლარი |
| 8 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10%) | 114, 8 ლარი |
| 9 | ბეჯის და გამოთვლილი საბანკო გარანტიის/წინ. თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 500 ლარი |
| 10 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 22 ოქტომბრის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 25 ნოემბრის 18.00 საათზე |
| 11 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 25 ნოემბრის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 25 ნოემბრის დღის 18. 00 საათზე |
| 12 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 13 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2015 წლის „16.10“
№ ს-516 ბრძანებით

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 245444844 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10 |
| 3 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 4 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შემდეგ შესაბამისი მომსახურების ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ტოპოგრაფიულად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს ნორმატიული კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 5 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხულოს მუნიციპალიტეტის, სოფ. პაქსაძეების მიმდებარედ, „მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება“. (კატეგორია - P, მისაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 15 226 მ³), |
| 6 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი პაქსაძეები |
| 7 | აუქციონის საწყისი ფასი | 2 650 ლარი |
| 8 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10%) | 265 ლარი |
| 9 | ბეჯის და გამოთვლილი საბანკო გარანტიის/წინ. თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 000 ლარი |
| 10 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 22 ოქტომბრის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 25 ნოემბრის 18.00 საათზე |
| 11 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 25 ნოემბრის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 25 ნოემბრის დღის 18. 00 საათზე |
| 12 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 13 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2015 წლის „16.10“
№ ს-517 ბრძანებით

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 245444844 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10 |
| 3 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 4 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შემდეგ შესაბამისი მომსახურების ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ტოპოგრაფიულად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს ნორმატიული კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 5 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხულოს მუნიციპალიტეტის, სოფ. პაქსაძეების მიმდებარედ, „მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება“. (კატეგორია - P, მისაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 2 895 მ³) |
| 6 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი პაქსაძეები |
| 7 | აუქციონის საწყისი ფასი | 504 ლარი |
| 8 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10%) | 50,4 ლარი |
| 9 | ბეჯის და გამოთვლილი საბანკო გარანტიის/წინ. თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 500 ლარი |
| 10 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 22 ოქტომბრის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 25 ნოემბრის 18.00 საათზე |
| 11 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 25 ნოემბრის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 25 ნოემბრის დღის 18. 00 საათზე |
| 12 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 13 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2015 წლის „16.10"
№ ს-518 ბრძანებით

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 245444844 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, ჯიქიას ქ.№ 115 / 0422 27 35 10 |
| 3 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 4 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შემდეგ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ათვისებადი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 5 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. კოლოტაურის მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება". (საკადასტრო-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 25 400 მ³) |
| 6 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. კოლოტაური. |
| 7 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 418 ლარი |
| 8 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 441.80 ლარი |
| 9 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2000 ლარი |
| 10 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 22 ოქტომბრის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 25 ნოემბრის დღის 18.00 საათზე |
| 11 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 25 ნოემბრის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 25 ნოემბრის დღის 18.00 საათზე |
| 12 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 13 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულის მიერ უნდა განხორციელდეს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2015 წლის „16.10"
№ ს-519 ბრძანებით

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 245444844 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, ჯიქიას ქ.№ 115 / 0422 27 35 10 |
| 3 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 4 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შემდეგ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ათვისებადი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 5 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. დოლოგანის მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება". (საკადასტრო-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 16 800 მ³) |
| 6 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანი. |
| 7 | აუქციონის საწყისი ფასი | 2 922 ლარი |
| 8 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 292.20 ლარი |
| 9 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1500 ლარი |
| 10 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 22 ოქტომბრის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 25 ნოემბრის დღის 18.00 საათზე |
| 11 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 25 ნოემბრის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 25 ნოემბრის დღის 18.00 საათზე |
| 12 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 13 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულის მიერ უნდა განხორციელდეს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2015 წლის „16.10"
№ ს-520 ბრძანებით

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 245444844 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, ჯიქიას ქ.№ 115 / 0422 27 35 10 |
| 3 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 4 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა წყლის წლიური რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეცვალოს, შეაკეთოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა აღჭურვილობა, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცვას მას უცხო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა წყლის წლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ასევე, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უცხო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ზემოქმედება. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებს და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დამონტაჟებული იყოს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავსანაკეთობის მოწყობა, ხოლო თვითდინებ ჭაბურღილის შემთხვევაში - მისი ჰერმეტიზაცია; ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალ-დებულია უზრუნველყოს წყლის დაცვა;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შემდეგ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ათვისებადი მოცულობის მითითებით).<br>თ) უნდა განხორციელდეს მონიტორინგული დაკვირვებები წყლის დებიტზე, ტემპერატურასა და ქიმიურ შემადგენლობაზე;<br>ი) უზრუნველყოს სანიტარიული ზონების დადგენა და დაცვა;<br>კ) ექსპლუატაციის პერიოდში უნდა განხორციელდეს მუდმივი ჰიდროგეოლოგიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი;<br>ლ) დაცული იქნეს საქართველოს კანონით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები |
| 5 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. კოკოტაურის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა წყლის მოპოვება ჩამოსხმის მიზნით. (საკადასტრო - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა 3 650 მ³/წელიწადში) |
| 6 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. კოკოტაურის მიმდებარე ტერიტორია |
| 7 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 8 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 9 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 10 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 21 ოქტომბრის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 24 ნოემბრის დღის 18.00 საათზე |
| 11 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 24 ნოემბრის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 24 ნოემბრის დღის 18.00 საათზე |
| 12 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 15 წელი |
| 13 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულის მიერ უნდა განხორციელდეს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

სულიერება

# წმიდა ევდემოზი — საქართველოს ეკლესიის მამამთავარი

**17 ოქტომბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია აღნიშნავს წმიდა კათოლიკოსის ევდემოზის ხსენების დღეს.**

**...ცნობილია, რომ წმიდა ევდემოზი საქართველოს ეკლესიას მართავდა მაშინ, როდესაც ქართლ-კახეთში მეფობდა როსტომ ხანი. შაჰ-აბასმა როსტომს ჩააბარა ქართლ-კახეთი ქართლიდან თეიმურაზის განდევნის შემდეგ.**

როსტომ მეფემ სამღვდელოებას ჯამაგირი დაუნიშნა, ტკბილადაც ექცეოდა, ეკლესიებსაც აშენებდა, მაგრამ სწორედ მისი მეფობის დროს „იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება. განმრავლდა სიძვა და არაწმიდება, ცოდვა იგი სოდომ-გომორული და მეძაობა...“

ერის სულიერ მამას წმიდა ევდემოზს, არ შეეძლო მშვიდად ეყურებინა ქართველთა დაცემისთვის და მოქმედებდა კიდეც მწყემსმთავრისთვის შესაფერისი უშიშარობითა და თავდადებით: მან რამდენჯერმე შეჰკრიბა ქართლის წარჩინებული ვაჟკაცები სპარსელებთან საბრძოლველად, მისი გავლენით ცალკეული მთავრები არ ემორჩილებოდნენ როსტომ-ხანის პოლიტიკას და თავიანთ სამთავროებს იცავდნენ მუსულმანური ტრადიციების ზეგავლენისაგან...

საგულისხმოა, რომ კათოლიკოს ევდემოზის სულიერი შვილი იყო როსტომ ხანის მეუღლე, კეთილმორწუნე დედოფალი მანუჩარ დადიანის ასული მარიამი. ისიც საგულისხმოა, რომ კათოლიკოს ევდემოზის მოღვაწეობითა და დედოფალ მარიამის თანადგომით, ქვეყანაში ისევ ცოცხლობდა სარწმუნოებრივ-ეროვნული სული, შენდებოდა ეკლესიები, იწერებოდა სასულიერო ხასიათის ლიტერატურა და ნელ-ნელა მაღლდებოდა პატრიოტული სულისკვეთება.

...სამშობლოს სიყვარულით ანთებული კათოლიკოსი მწვავედ ამხელდა მეფის უსჯულოებას და ხალხს მის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა. როსტოს-ხანმა საპყრობილეში მოაშთობინა წმინდანი, მისი გვამი კი შეურაცხყოფის მიზნით ნარიყალას ციხიდან გადააგდებინა აბანოების მხარეს.

ქრისტიანობისთვის წამებული ნეტარხსენებული კათოლიკოს-პატრიარქის გვამი ფარულად წამოიღეს ქრისტიანებმა და ანჩისხატის ტაძარში დაკრძალეს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში.



**გიული ლიპარტია**

**ყურადღება!**

ქირავდება 120 კვ.მ. კომერციული ფართობი ხალხმრავალ ადგილზე, ნავთლუღის ბაზრის წინ, გარემონტებული, ამჟამად ფუნქციონირებს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. საუკეთესოა საოფისედ და ნებისმიერი სახის კომერციული საქმიანობისთვის.

მისამართი: მოსკოვის გამზირი №1, ჩასახვევი — მეველის ქუჩაზე, კუთხის, მაღალჭერიანი სახლი. ტელ: 599 370035, მანანა.

**რეკლამა**
**29 3-37-87**
**მაჩაბლის ქ. №7.**

## განცხადება

### აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნოე კილაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნოე კილაძე (პირადი №53001003736), მის: წყალტუბოს რაიონი, სოფელი ოფშკვითი XIII ქ. №23;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
წყალტუბოს რაიონი, სოფელი ოფშკვითი (საკადასტრო კოდი: 29.16.33.025);

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 1401.18 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 30 ოქტომბერი, 11:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** კობა კილაძე (პირადი №53001006774), მის: წყალტუბოს რაიონი, სოფელი ოფშკვითი;
ნოე კილაძე (პირადი №53001003736), მის: წყალტუბოს რაიონი, სოფელი ოფშკვითი XIII ქ. №23;
თამარა კილაძე (პირადი №53001041772), მის: წყალტუბოს რაიონი, სოფელი ოფშკვითი.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (1. ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, ანგარიშის ნომერი GE59VT6600000007283602 ან 2. ს/ს „თიბისი ბანკი“,ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 30 ოქტომბერს, 11:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

### აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თინათინ ზურაბაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თინათინ ზურაბაშვილი (პირადი №01006014235), მის: თბილისი, ურეკის ჩიხი №9;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, ლუბლიანას ქ. №11, ბლოკი „ა“, კორპუსი 1, სადარბაზო 1, სართული 10, ბინა №34, (საკადასტრო კოდი: 01.13.02.010.042.01.034);

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 53148.08 ლარი დღგ-ს ჩათვლით (დღგ შეადგენს 8107.20 ლარს);

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 30 ოქტომბერი, 11:30 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** თეიმურაზ ანთიძე (პირადი №01005009430), მის: თბილისი, თევდორე მღვდლის მე-2 ჩიხი №12.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (1. ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, ანგარიშის ნომერი GE59VT6600000007283602 ან 2. ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 30 ოქტომბერს, 11:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

### აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ლევან გოგოძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ლევან გოგოძე (პირადი №01025007467), მის: თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა, კორპუსი №19, ბინა №6;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა, კორპუსი №19, ბინა №6 (საკადასტრო კოდი: 01.72.14.008.143.01.006).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 30897.08 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2015 წლის 19 ოქტომბერი, 12:00 საათი;

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2015 წლის 30 ოქტომბერი, 11:00 საათი;

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge;

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP25817315;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 258173

6. **მოვალე:** ლევან გოგოძე (პირადი №01025007467), მის: თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა, კორპუსი №19, ბინა №6

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

8. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის № 71271HZP25817315; ლოტის ნომერი: 258173).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები 2015 წლის 29 ოქტომბერს, 11:00 საათამდე წარადგინოს შპს „ემჯი ჰოლდინგში“, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

ჭიდაობა




# ვეტერანთა „ოქროები“

**ათენში გამართული ვეტერან მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე 40-წლამდელებში შესანიშნავად იჭიდავა პაატა ნოზაძემ (69 კგ), რომელმაც ზედიზედ დაამარცხა გერმანელი ფერმან ოზგუნი (10:0), ირანელები — ნურედინ რაჯაბი (6:2) და ტაჰერი ჰაჯიბაბაე (2:1), ხოლო ფინალში აზერბაიჯანელ რამილ ისმაილოვს აჯობა — 7:2 და „კლასიკოსთა“ შორის ჩემპიონობა მოიპოვა.**

ასევე, ოქროს მედალი დაიმსახურა 70-წლიანებში ესტატე გოგლიჩიძემ (130 კგ). საამისოდ მას ყირგიზი აბაკირ რისოვისა (6:0) და ამერიკელი ჯოსელ რეასბეკის (5:2) დამარცხებაც ეყო.

**გივი გაგუა**

**სურათზე: პაატა ნოზაძე (მარცხნივ) და ფერმან ოზგუნი.**

ჭადრაკი

# ცუდად დაიწყო და კარგად დაამთავრა



**12 საუკეთესო დიდოსტატი მონაწილეობდა მონტე კარლოში დასრულებულ მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან პრის 2015-2016 წლების გათამაშების პირველი რაუნდში. შეჯიბრების ბოლო ტურში ნანა ძაგნიძემ თეთრი ფიგურებით ირანელი სარასადათ ხადემალშერიჰი დაამარცხა და ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა, არადა, წინა შვიდ ტურში მან მხოლოდ ერთი ქულის აღება მოახერხა.** მე-11 ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: დაზავდნენ მსოფლიოს ექსჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი) და მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი), ევროპის ექსჩემპიონი ელმირა სკრიპჩენკო (საფრანგეთი) და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი მარია მუზიჩუკი (უკრაინა), მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონი ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) და ორგზის ევროპის ჩემპიონი ნატალია ჟუკოვა (უკრაინა), მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ნატალია პოგონინა (რუსეთი) და ორგზის ევროპის ჩემპიონი პია კრამლინგი (შვედეთი), ხოლო ანა მუზიჩუკმა (უკრაინა) შავი ფიგურებით ჰამპი კონერუ (ინდოეთი) დაამარცხა.

**საბოლოო შედეგები:** ჰოუ იფანი- 9, მარია ჟუკოვა, ჰამპი კონერუ — 7-7, პია კრამლინგი, ნატალია პოგონინა — 6-6, ანტოანეტა სტეფანოვა, ალექსანდრა კოსტენიუკი — 5.5-5.5, ნანა ძაგნიძე — 5, ელმირა სკრიპჩენკო, ნატალია ჟუკოვა, ანა მუზიჩუკი — 4.5-4.5, სარასადათ ხადემალშერიჰი — 1.5 ქულა.

**გრან პრის დანარჩენი სამი რაუნდი გაისად გაიმართება და ერთ-ერთს თბილისი უმასპინძლებს.**

**ლაშა დიდია**

**სურათზე: ნანა ძაგნიძე.**

რაგბი

# საქართველო და რუმინეთი მზად არიან მსოფლიო თასზე მიღებული დივიდენდების გასანაღდებლად

**„რაგბი ევროპა“ — ორგანიზაცია, რომელიც ევროპაში რაგბის განვითარებაზეა პასუხისმგებელი, გრძელვადიან მიზანს ისახავს სარაგბო კომერციისა და კომუნიკაციის სტრატეგიის განსავითარებლად.**



ეს ხედვა მთლიანად თანხვედრაშია ევროპის რაგბის კავშირების სამომავლო მოლოდინებთან და იმ საჭიროებებსა და გამოწვევებს პასუხობს, რაც ევროპული რაგბის სამომავლო გეგმებს ეხება.

„რაგბი ევროპის“ პრეზიდენტი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი **ოქტავიან მორარიუ** სწორედ ამ გამოწვევებზე საუბრობს:

„მიმდინარე მსოფლიო თასი და მომავალი რიოს ოლიმპიური თამაშები საუკეთესო პერიოდია სპორტის აღმავლობისთვის და სწორედ ამ შესაძლებლობებზე კაპიტალიზებაა საჭირო. ჩვენ ძალიან კარგი ხედვა და სტრატეგია გვაქვს დასახული ამ კუთხით, რომელიც ევროპული რაგბის პოპულარიზაციასა და მისი შესაძლებლობების და სტანდარტების განვითარებას ეხება.

მსოფლიო თასზე მეორე ეშელონის გუნდების შედეგებმა, კონკრეტულად კი საქართველოსა და რუმინეთის წარმატებამ, 6 ერის ტურნირის გადახედვის დისკუსია წარმოშვა. სამწუხაროდ ამ ქვეყნებს 6 ერის ქვეყნებთან ასპარეზობის საშუალება არ ეძლევათ. ჩვენი მთავარი ამოცანა კი მათი წარმატების გზის განვითარებაზეა ორიენტირებული.

„რაგბი ევროპა“ მთლიანად უჭერს მხარს 6 ერის ტურნირს, რომელიც დღემდე ევროპული რაგბის ყველაზე წარმატებულ შეჯიბრებად ითვლება. საკითხი, რომელიც დღის წესრიგში დგას, ნამდვილად ჯანსაღ დისკუსიას წარმოშობს ამ სტრუქტურის გარეთ არსებული ქვეყნების ინტეგრაციაზე. ეს დისკუსიები ნამდვილად კარგად მიმდინარეობს და ნათელს ჰფენს ტურნირის სტრუქტურის გარეთ კომერციულ კონკურენტუნარიანობას.

„რაგბი ევროპა“ მსოფლიო რაგბთან და ევროპის 48-ვე კავშირთან ერთად მუშაობას განაგრძობს მეორე და მესამე ეშელონის ქვეყნებთან მიმართებაში 6 ერის მსგავსი ტურნირის სტრუქტურის განვითარებაზე. „რაგბი ევროპის“ ჩემპიონატის მონაწილე ერები — საქართველო, რუმინეთი, გერმანია, პორტუგალია, ესპანეთი და რუსეთი — 6 ერთან ასპარეზობის საშუალების დიდ საჭიროებას განიცდიან, რათა მსგავსი ტიპის კონკურენციამ მათი წარმატება კიდევ უფრო გააძლიეროს.

ევროპული რაგბის თემის შეთანხმებული სურვილია, დაისახოს დეტალური სტრატეგია იმისათვის, რომ 6 ერის ჩემპიონატი ერთადერთ ვარიანტად არ განიხილებოდეს ევროპაში საერთაშორისო რაგბის გამოცდილების გასაზიარებლად. ეს არის ერთიანი გეგმა ევროპაში კონკურენტუნარიანი რაგბის განსავითარებლად“.

* * *

**მსოფლიო თასი. მეოთხედფინალი.** სამხრეთ აფრიკა — უელსი, ავსტრალია — შოტლანდია (დღეს), ახალი ზელანდია — საფრანგეთი, არგენტინა — ირლანდია (ხვალ).

**კობა კობახიძე**

კალათბურთი

# ევროლიგა დაიწყო, პულენმა 18 ქულა ჩააგდო



**კალათბურთში ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირი ევროლიგა ექვსი მატჩით დაიწყო.**

„ოლიმპიაკოსმა“ შინ „ცედევიტას“ 76:61 მოუგო. „ცედევიტას“ რიგებში საქართველოს ნაკრების წევრი ჯეიკობ პულენი საუკეთესო გახლდათ. პულენმა პარკეტზე 27 წუთი დაჰყო და ამ დროში გუნდს 18 ქულა, 3 პასი და 3 მოხსნა შესძინა, ჯეიკობის მარგი ქმედების კოეფიციენტმა კი 11-ს უწია. საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა 6-დან 2 ორქულიანი, 10-დან 4 სამქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო სროლა გამოიყენა. „ოლიმპიაკოსის“ რიგებში 20 ქულით გეორგიოს პრინტეზისი გამოირჩა.

ევროლიგის პირველსავე დღეს სენსაცია დაფიქსირდა. თურქულმა „პინარ კარშიაკამ“ საკუთარ დარბაზში „ბარსელონა“ მოულოდნელად 71:62 დაამარცხა. მატჩში გადამწყვეტი მესამე პერიოდი აღმოჩნდა, რომელიც თურქულმა კლუბმა 25:11 მოიგო.

მანუჩარ მარკოიშვილის „დარუშაფაკამ“ იტალიურ „სასარის“ ოვერტაიმით 83:74 მოუგო. სამწუხაროდ მანუჩარს არ უთამაშია.

ევროლიგის ერთ-ერთმა ფავორიტმა მოსკოვის ცსკამ საშინაო კედლებში ისრაელის „მაკაბი“ 100:69 გაანადგურა. მატჩში 17-17 ქულით ცსკას კალათბურთელი ნანდო დეოლო და „მაკაბის“ გამთამაშებელი ჯორდან ფარმარი გამოირჩნენ. მოსკოვურმა კლუბმა გუნდური კალათბურთი ითამაშა. არმიელთა ხუთმა კალათბურთელმა 10 და მეტი ქულა ჩააგდო.

**„პინარ კარსიაკა“ — „ბარსელონა“ 71:62 (18:18, 11:9, 25:11, 17:24),**

**„ცრვენა ზვეზდა“ — „სტრასბურგი“ 81:59 (19:20, 24:12, 19:16, 19:11),**

**ცსკა — „მაკაბი“ 100:69 (29:20, 15:9, 29:19, 27:21),**

**„დარუშაფაკა“ — „სასარი“ 83:74 (15:19, 17:12, 14:19, 20:16 ო.ტ. 17:8),**

**“ოლიმპიაკოსი“ — „ცედევიტა“ 76:61 (21:20, 17:15, 19:13, 19:13),**

**„უნიკახა“ — „ბროზე ბასკეტი“ 76:71 (18:18, 18:16, 27:15, 13:22).**

**ვიტალი ჯაფარიძე**

პატივგება

# სამ ოთარს შემატებული ზურაბი

**მცხეთობა-სვეტიცხოვლობა დღეს ქუთაისის სპორტის მუზეუმში, რომლის ფართო დარბაზი ოლიმპიური სიმბოლიკითა და ერთ-ერთი პირველი ქართველი ოლიმპიური ოქროს მედალოსნის, სულგანათლებული ზურაბ საკანდელიძის სპორტული ცხოვრების ამსახველი პლაკატებით, ფოტოებითა და „ნადავლით“ საგანგებოდ იყო გაფორმებული, გაიმართა საკალათბურთო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.** საზეიმო ღონისძიების დაწყებამდე მის მონაწილეებს დაურიგდა ქუთაისის სპორტის მუზეუმისა და გაზეთის „სარკმელი საქართველოსი“ ერთობლივი არასამეწარმეო ხასიათის სასაჩუქრო წიგნი „ოქრო ოქროზე ძვირფასი“. შემდგომ კი წიგნის ავტორთან, მუზეუმის თავკაცსა და ამ ღონისძიების ორგანიზატორთან ზურაბ ჯავახაძესთან ერთად შეკრებილებს სიტყვით მიმართეს ქუთაისის მერმა შოთა მურღულიამ, ჟურნალისტმა და მეცნიერმა ბენია თხილავამ, იუბილარის უფროსმა ძმამ, წარსულში თავადაც ცნობილმა კალათბურთელმა ანზორ საკანდელიძემ, მეუღლემ მაცაცო მგელაძე-საკანდელიძემ და სხვებმა.



დასაწყისში შემთხვევით არ გვიხსენებია ყველა ქართველი მართლმადიდებლისათვის უდიდესი სასულიერო დღესასწაული. თითოეული ჩვენგანისათვის ამ გამორჩეულ დღეს დარბაზში არა მარტო ქუთაისლები ისხდნენ, არამედ სრულიად სხვადასხვა პროფესიის უამრავი სტუმარი როგორც თბილისიდან, ისე საქართველოს კუთხეებიდან, მათ შორის ღვთისმსახურებიც. მათგან ერთ-ერთმა, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მოძღვარმა მამა ვახტანგმა (ერისკაცობაში ასათიანმა) საზეიმო სხდომის შემდგომ აკურთხა ოლიმპიურ სკვერში აღმართული ზურაბ საკანდელიძის ძეგლი.



ქალაქის თავკაცებს მხოლოდ იმიტომ არ შეურჩევიათ ეს ადგილი, რომ იგი ოლიმპიადის სახელობისაა და უკვე ამშვენებს ქუთაისში აღზრდილი ქართველი ოლიმპიელების ვარსკვლავები. აქვეა წმინდა ნინოს სახელობის მესამე საშუალო სკოლა, სადაც ზურაბი სწავლობდა. აქვეა მდინარე რიონი. აქვეა მისთვის უსაყვარლესი „ქვარიანის ჩქერებიცა“ და „თეთრი ხიდიც“, რომლის მოაჯირის იმ ადგილიდან, სადაც ახლა „პიკასოს ბიჭის“ ქანდაკებაა, თავდაყირა ბევრჯერ ჩამხტარა მდინარეში.

ძეგლის ავტორია ახალგაზრდა მოქანდაკე მიხეილ გვასალია. იგი ლეგენდად ქცეული ჩვენი თანამედროვე გენიალური ხელოვანისა და მგზნებარე ერისკაცის მერაბ ბერძენიშვილის აღზრდილია და, როგორც თვითონ განაცხადა, ამ ნაწარმოების შექმნაში წონადია მისი სახელოვანი პედაგოგის წვლილი.

სხვათა შორის მიხეილ გვასალიას ნაწარმოები პირველად არ შემატებია ქუთაისს. რამდენიმე წლის წინათ აქვე, სულ რაღაც ორიოდ ნაბიჯზე, „სამი ოთარის“ — ოთარ მამფორიას, ოთარ სულაბერიძისა და ოთარ ქორქიას სკვერში ოთარ ქორქიას ძეგლი სწორედ მან აღმართა.

**ალექსანდრე შენგელია,**
**„სრ“ საკ. კორ.**

# სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოში რელიგიური თავისუფლებით უკმაყოფილოა

**საქართველო მოხვდა ყოველწლიურ მოხსენებაში „რელიგიური თავისუფლების შესახებ მსოფლიოში“, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა მოამზადა. მაგრამ ანგარიშში, რომელიც 2014 წელს ეხება, საქართველო ნახსენებია არცთუ კარგ ადგილას. მოხსენებაში საუბარია რელიგიურ უმცირესობათა დისკრიმინაციის გახშირებული ფაქტების შესახებ და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მზარდი გავლენის შესახებ არა მხოლოდ საზოგადოებრივ, არამედ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზეც.**

**„საქართველოს კონსტიტუცია იძლევა რწმენის თავისუფლების გარანტიას და ეკლესიას გამოჰყოფს სახელმწიფოსგან“,** — ამ სიტყვებით იწყება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ მსოფლიოს ამა თუ იმ ნაწილში, კერძოდ, სადაც საკითხი შეეხება სამხრეთი კავკასიის სახელმწიფოს. მაგრამ



შემდეგ საუბარია, რომ სინამდვილეში ქვეყანაში სიტუაცია სხვაგვარად გამოიყურება: „კანონი და პოლიტიკა უპირატესობას ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ანიჭებს და მას აძლევს იმ პრივილეგიებს, რომლებიც სხვა რელიგიურ ჯგუფებს არ გააჩნიათ“. ესენია „განსაკუთრებული იმუნიტეტი პატრიარქისთვის, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირთა განთავისუფლება სამხედრო ვალდებულებისაგან, განსაკუთრებული უფლება სახელმწიფო ქონებისა და საკუთრების მიღებაზე მიწების სახით უფასოდ“. ამას გარდა, ქვეყნის კონსტიტუცია აღიარებს „ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში“, რაც მას, ისევ არსებითად, ხელუხლებელს ხდის.

რაც შეეხება რელიგიურ უმცირესობებს, რომლებსაც ქვეყნის მოსახლეობის 15-დან 20 პროცენტამდე განეკუთვნება, მათთან დაკავშირებით სიტუაცია გაცილებით უარესია, ნათქვამია მოხსენებაში. მაგალითად 2014 წელს ქართველმა სამართალდამცველებმა საკმაოდ ხშირად დააფიქსირეს დისკრიმინაციული და ძალადობრივი ხასიათის მოქმედებები სხვა რწმენის ადამიანებთან დაკავშირებით რელიგიური უმრავლესობის მხრიდან. მაგრამ ამგვარი ინციდენტების გამოკვლევა სამართალდაცვის ორგანოების მიერ ხშირად „ჭიანურდებოდა“, ხოლო დასჯა, თუკი ეს ხდებოდა, იყო უკიდურესად მსუბუქი.

ქართველი პოლიტოლოგი გრიგოლ გობრონიძე ეთანხმება მოხსენების შინაარსს, მას მიაჩნია, რომ სახელმწიფო ხელისუფლება გარკვეულწილად უკვე უძლურია რელიგიური ხელისუფლების წინაშე. ეკლესიის გავლენამ საზოგადოებაზე მიაღწია ისეთ მასშტაბებს, რომ კრიტიკა მისი მისამართით მეტად სარისკო საქმეა. პოლიტოლოგის აზრით, ქართული ეკლესია უკვე დიდი ხანია, შეიძლება მივიჩნიოთ სახელმწიფო მანქანის ძლიერ, სრულფასოვან ნაწილად.

**„შევარდნაძის დროიდან დაწყებული, როდესაც მან ეკლესიასთან საკონსტიტუციო ხელშეკრულება გააფორმა, მთავრობა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ერთგვარად იყოფენ სახელმწიფო ხელისუფლებას. თანაც ერთიც და მეორეც არ უშვებს ხელიდან შესაძლებლობას — გამოიყენონ ერთიმეორის რესურსები საკუთარი ინტერესებისათვის. ჩვენ გვახსოვს რა როლი შეასრულეს ბოლო არჩევნების დროს (2012 წელი) სასულიერო პირებმა, რომლებიც ეწეოდნენ ამომრჩეველთა გადაბირებას ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ. ჩვენ გვახსოვს, თუ როგორ ახერხებდა ეკლესია, მოეწყოთ ხალხის საკმაო ოდენობის მობილიზება თავისი ხელისუფლების ძალის დემონსტრაციისათვის. მაგალითად, 2013 წლის 17 მაისს (სასულიერო პირებმა გამოიყვანეს მრევლი, რათა არ დაეშვათ ჰომოფობიასთან ბრძოლის დღეს ღონისძიებათა მოწყობა, და ეს შეტაკებაში გადაიზარდა). მაგრამ მთლიანად, რასაკვირველია, სახელმწიფო ფრთხილად ეპყრობა ეკლესიის პოზიციებს“,** — ამბობს გობრონიძე. ამ დროს პოლიტოლოგი ამტკიცებს, რომ მართლმადიდებელი სულიერების წარმომადგენლები ხშირად განზრახაც კი აღვივებენ მრევლის უკმაყოფილებას სხვა რელიგიურ დაჯგუფებებთან დაკავშირებით.

ყველაზე ხშირად რელიგიურ დისკრიმინაციას, სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენების თანახმად, განიცდის ქართველი მუსლიმანები და ეგრეთ წოდებული არატრადიციული რელიგიების წარმომადგენლები, როგორებიცაა, მაგალითად, იეღოვას მოწმეები. 2014 წლის განმავლობაში ქართველმა იეღოვას მოწმეებმა სასამართლოს მიმართეს 65-ჯერ მათი უფლებების დარღვევისა და ძალადობის გამო მათი მისამართით. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ამ რელიგიური ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი გარდაიცვალა კიდეც იმ ოპერაციის შედეგად, რაც მას დასჭირდა, როდესაც თავდასხმის მსხვერპლი გახდა.

თავდასხმები მუსლიმანებზე დაფიქსირებული არ ყოფილა, მაგრამ მთელი შარშანდელი წლის განმავლობაში მათ ხშირად უწევდათ, მონაწილეობა მიეღოთ ქონებრივ დავებში, დაეცვათ თავიანთი უფლებები კრებებისა და ლოცვების მოწყობაზე, მშენებლობაზე, მეჩეთების გახსნასა და რესტავრაციაზე, მოდელის სახლებისა და მედრესების მშენებლობაზე. ამგვარი შეტაკებები ამა თუ სოფელში არაერთხელ გადაიზარდა ქართველ ქრისტიანთა და ქართველ მუსლიმანთა შეტაკებებში. მოხსენებაში ასევე ნათქვამია, რომ მართლმადიდებელი სულიერების მხრიდან დაფიქსირდა ქართველი მუსლიმანების ქრისტიანებად მონათვლის ძალადობანი.

ეთნიკური ჩეჩენი საიხან მუზაევი, რომელმაც რელიგიური განათლება საუდის არაბეთში მიიღო და საქართველოში ცხოვრობს, მიიჩნევს, რომ ამგვარ ინციდენტებში რომელიმე რელიგიური მხარის დადანაშაულება არასწორია. ნეგატიური მომენტები, რომლებიც ვლინდება ქრისტიანების დამოკიდებულებაში ქართველ მუსლიმანებთან, უწინარეს ყოვლისა, მუზაევის აზრით, გამოწვეულია ინფორმაციის უკმარისობით.

**„ხალხი (ქრისტიანები) მეტად ფრთხილად ეკიდება ყველა ამ ცერემონიას და გახსნებს (სასულიერო დაწესებულებებისა). პროპაგანდა თავის საქმეს აკეთებს, მოდის ინფორმაცია ყველა მასობრივი ინფორმაციის საშუალებიდან, რომ მუსლიმანები, აიო, ასეთი ცუდები არიანო, წარმოგვაჩენენ არასასურველი თვალსაზრისით, და ხალხი, რასაკვირველია, ფრთხილადაა. ქართველების უმრავლესობას, ორთოდოქსულ ქრისტიანებს, ეშინიათ თავიანთი იდენტურობის დაკარგვისა. ეს მე მესმის, ეს გამართლებულია, ვინაიდან ჩვენი მხრიდან არ არის ინფორმაცია, რომელიც უნდა მივაწოდოთ, რომ ჩვენ არ წარმოვადგენთ არანაირ საფრთხეს, რომ არ არის არანაირი წყალქვეშა დინებები, ყველაფერი ცხადია და აშკარა“.**

ამ დროს ერთ დღეს ერთბაშად რვა რელიგიურმა ორგანიზაციამ მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თხოვნით, აღიარონ არაკონსტიტუციურად ის საკანონმდებლო ნორმები, რომელთა თანახმადაც რელიგიურ უმცირესობებს არ ენიჭებათ საგადასახადო შეღავათები. შეგახსენებთ, რომ საგადასახადო შეღავათებით სახელმწიფოს მხრიდან სარგებლობს მხოლოდ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია.

Эхо Кавказа

## დედამიწის ზურგზე



### მამონტების გაქრობაში დამნაშავეები არიან ადამიანები და არა კლიმატის ცვლილება

პალეონტოლოგებმა მიჩიგანის უნივერსიტეტიდან წერტილი დაუსვეს დავას, თუ კერძოდ რა გახდა მიზეზი ამ სახეობის გადაშენებისა. ახალგაზრდა მამონტების ეშვების ქიმიური შემადგენლობის შესწავლის შემდეგ მათ დაადგინეს, რომ დროის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა პატარების ჩამოშორების ასაკი დედისაგან და დამოუკიდებელ კვებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ეს კი მოწმობს იმ საფრთხის შესახებ რასაც პოპულაციისათვის მონადირეები წარმოადგენენ.

### ევროპაში ემზადებიან ხელახლა გამოსცენ ადოლფ ჰიტლერის წიგნი „MEIN KAMPF“



2015 წელს (ჰიტლერის გარდაცვალებიდან 70 წლის შემდეგ) მთავრდება „Mein Kampf “ (ჩემი ბრძოლის) გამოცემაზე საავტორო უფლებების ვადა, რომელიც ბავარიის მთავრობას ეკუთვნის. სურვილი — ხელახლა გამოუშვან წიგნი — გამოთქვეს გერმანულმა და ფრანგულმა გამომცემლობებმა.

### შვედეთში გაიხსნა მსოფლიოში პირველი საავადმყოფო გაუპატიურებული მამაკაცებისათვის

სტოკჰოლმის ცენტრში უკვე მუშაობს სადღეღამისო კლინიკა ქალებისა და ქალიშვილებისათვის, რომლებმაც განიცადეს სექსუალური ძალადობა. ყოველწლიურად ამ საავადმყოფოს პაციენტები 600-დან 700-მდე ქალი ხდება. სამედიცინო დახმარებას დაზარალებულ მამაკაცებს, როგორც ქალებსაც, უფასოდ გაუწევენ.

### გაეროს უშიშროების საბჭო პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის გამწვავებას ექსტრემალურ შეხვედრაზე განიხილავს

ოქტომბრის დასაწყისიდან ისრაელის ხელისუფლებამ დააფიქსირა სულ ცოტა 25 ტერორისტული აქტი, რომლებიც არაბებმა მოაწყვეს და რომელთა შედეგადაც 7 ისრაელელი დაიღუპა. იერუსალიმის არაბულ გარეუბნებში, აგრეთვე მთელ რიგ დიდ ქალაქში მოხდა შეტაკებები პალესტინელებსა და ისრაელის არმიის ძალებს შორის.

### ნიგერიის ჩრდილო-აღმოსავლეთის მეჩეთებში აფეთქებებისას ათობით ადამიანი დაიღუპა

ადგილობრივი ხელისუფლების მონაცემებით, აფეთქებები მოაწყვეს თვითმკვლელმა ტერორისტებმა ლოცვის დროს. დაზარალებულები ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს. ადგილობრივი მცხოვრებლების სიტყვებით, დაიღუპა ყველა, ვინც მეჩეთში იმყოფებოდა. ზოგიერთი მონაცემებით, ინციდენტის შედეგად დაიღუპა სულ ცოტა 42 კაცი. პოლიცია ადასტურებს 14 კაცის დაღუპვას.



სულთათანა

# ის კაცი იყო...

## გიორგი (ფახუტი) ჭანტურიას გახსენება

19 ოქტომბერს ორმოცი დღე შესრულდება ბატონ **ფახუტი ჭანტურიას** გარდაცვალებიდან. კიდევ ერთმა უებრო ქართველმა ვაჟკაცმა განაინაცვლა სააქაოდან მიწისქვეშა საქართველოში.



როდესაც მასზე მოგონების დასაწერად ავიღე კალამი, უნებლიეთ წამომაგონდა ერთი ტაეპი პოეტის ცნობილი ლექსიდან „ის კაცი იყო, კაცის ჰქონდა ყველა თვისება“... თითქოს საგანგებოდ მასზე თქმულიყო ეს სიტყვები: საოცრად ვაჟკაცურიც იყო და თბილიც, ულალატო მეგობარიც და მეგობრობა-მეგობრების ერთგული და ჯეროვნად დამფასებელიც, ლხინსა თუ ჭირში მოყვასის თანამდგომი და მუდამ სასიკეთო საქმეებისთვის შემართულიც...

სენაკის მეორე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ წარმატებით გაასრულა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სრული კურსიც. სამუშაოდ გაანაწილეს გარდაბანში, სადაც განვლო გზა რიგითი ექიმობიდან რაიონული პოლიკლინიკის გამგეობამდე, სადაც 32 წელზე მეტი ნაყოფიერად იმუშავა და დიდი ავტორიტეტიც მოიპოვა.

ბატონმა ფახუტიმ ახალგაზრდობაში შექმნა ოჯახი დიდებულ ქალბატონთან ლალი კეკელიასთან ერთად. სამწუხაროდ, ორი შვილის დედა, ეს ღირსეული მანდილოსანი უდროოდ გარდაიცვალა და სამარადისოდ მოუშუშებელი იარაც დაუტოვა ცალუღლად დარჩენილ თანამეცხედრეს.

და სწორედ მაშინ ღვიძლი დედმამიშვილივით ამოუდგა მხარში უზომოდ დამწუხრებულ ბატონ ფახუტის თავისი მამიდაშვილი, ქალბატონი ჟანა, რომელიც, ადრეულ ასაკში მშობლების დაღუპვის შემდეგ, ფახუტის მამის, აბელის ოჯახში იზრდებოდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო ბათუმში, კარგ პიროვნებასთან დემურ მესხთან ერთად შექმნა ოჯახი და ცხოვრობდა სოხუმში. აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიისა და ლტოლვილობის მიუხედავად, ქალბატონმა ჟანამ იმდენი ივაჟკაცა, რომ თავის სამივე ვაჟიშვილს უმაღლესი სამედიცინო განათლება მიაღებინა. ამჟამად სამივე ძმა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია. ერთი მათგანი ლონდონშია, სადაც საკუთარი კლინიკა აქვს, ორი კი მოსკოვში მუშაობს. ბაჩო, კახაბერი და თემური ყურადღებას არ აკლებდნენ თავიანთ ბიძას — ბატონ ფახუტის, ბევრ სხვა რამესთან ერთად მსუბუქი ავტომობილიც აჩუქეს მას. სწორედ ბიძის რჩევით შეიძინეს მათ დიღომში მიწის ნაკვეთი, სადაც ბატონმა ფახუტიმ მოაშენა სხვადასხვა სახეობის მცენარე და ყვავილი, ჩაადგმევინა მეგრული „ჯარგვალი“, სადაც 2014 წლის 27 დეკემბერს, მის სიცოცხლეში პირველად და უკანასკნელად გადავიხადეთ ბატონი ფახუტის 70 წლის იუბილე.

თუმცა მაინც განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ბატონი ფახუტისთვის ქალბატონი ჟანას მიერ გაწეული ამაგი, რომელიც, ლტოლვილობის მიუხედავად, ყურადღებას არ აკლებდა თავის ბიძაშვილს და ყოველ ღონესაც ხმარობდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსაკეთებლად. სწორედ მან შეურჩია მას მომვლელად ქალბატონი ეკა, რომელიც მართლაც თავს ევლებოდა ბატონ ფახუტის.

უთუოდ აღსანიშნავია მისდამი მისი მეგობრის ავთანდილ გიორგაძის ყურადღება და მზრუნველობა. მას, ამერიკაში მცხოვრებს, იქიდან რამდენჯერმე ჩამოუტანია ფახუტისთვის წამლები და მცენარეთა თესლებიც, ეს უკანასკნელი რომ ზრდიდა და ახარებდა თავის ნაკვეთში შვილიშვილებთან მაკასა და მართასთან ერთად.

თუმცა ასეთი მოვლა-პატრონობის მიუხედავად უკურნებელმა სენმა მაინც იმძლავრა და...

შეწყდა გულისცემა კიდევ ერთი დიდებული და მართლაც დიდბუნებოვანი ადამიანისა, შესანიშნავი მამისა და ბაბუისა, დიდი ადამიანური ღირსების მქონე მამულიშვილისა და ულალატო მეგობრისა, რომლის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობაც საქვეყნო საქმისადმი, მეგობრებისა და ახლობლებისადმი ერთგულებისა და თავდადების ჭეშმარიტი მაგალითი იყო.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული!

**მეგობართა ერთი ჯგუფის სახელით**
**ბადრი ბარკალაია**

---

უახლოესი ნათესავები დალი მანჯგალაძე, ზაქრო შენგელია, გულიკო, ჟანა, ნონა, ნანა, ვალოდია, თემურ, იასონ, შოთა ბრელიძეები, ზაირა ხოშტარია, რუსუდან, ნესტორ ჩიხლაძეები, რიტა, გელა ტატანაშვილები, ფრიდონ ხუფაცარია, კობა კაშია, მარინა კანდელაკი ოჯახებით დიდი გულისტკივილით იუწყებიან დამსახურებული ექიმის, ღირსეული, სანათესაოში გულისხმიერებით გამორჩეული ქალბატონის, სანიმუშო დედაბოძის, უანგარო, ერთგული ადამიანის

**ნაზი ბრელიძე-გაბრიჭიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

---

თენგიზ კალანდაძე ოჯახით თანაუგრძნობს გია გაბრიჭიძეს დედის

**ნაზი ბრელიძე-გაბრიჭიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის გამგეობა და თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ თვალსაჩინო მეცნიერის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის

**მამისა ბერძნიშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი, კატასტროფათა და კრიტიკული მედიცინის საქართველოს ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოში ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგიის სამსახურის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პედაგოგი და მეცნიერი, პროფესორი

**გიორგი ჩახუნაშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

დედა მერი, მეუღლე ირინა გოგოხია, შვილები თინათინი, ალექსანდრე, ნატალია, და ელენე, სიძე პაატა ჟღენტი, ცოლისძმა დამიანე გოგოხია, სიდედრი ნატალია რუსაკოვა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კონსტანტინე ვალიკოს ძე როგავა**

პანაშვიდი 16, 17 X, 17 სთ. მისამართი: ი. ნიკოლაძის 7, I სად., 6 სართული. გამოსვენება კვირას 15 სთ. სიონის საკათედრო ტაძრიდან.

ლუარა ალშიბაია, სულხან, ლაშა პაპაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კონსტანტინე ვალიკოს ძე როგავა**

და გულითადად თანაუგრძნობენ ოჯახსა და ახლობლებს.

---

**პაციენტთა საყურადღებოდ!**

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13. ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

**ყურადღება!**

დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს, იყიდება 1400 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით (შეიძლება ნაკვეთის დაყოფა). ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით.

**ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
29 3-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

## ცინცხალი ანეკდოტები

— **ექიმო,** განდიდების მანია მჭირს.
— კარგი, ვეცდები, რომ დაგეხმაროთ.
— ვინ, შენ? საცოდავი რაიონული მასშტაბის ექიმუკა?

* * *

**გავიცანი** მომხიბვლელი გოგო! ჭკვიანი, ლამაზი, აღნაგი. მოვიყვანე სახლში, მაგრამ ჩემი ოჯახის წევრებმა რატომღაც ჯეროვნად ვერ შეაფასეს იგი... განსაკუთრებით ცოლმა.

* * *



— **ალო,** პოლიციაა? წამოდით სწრაფად. აქ მკვლელობაა.
— ვინ მოკლეს?
— ჩემი კარგი განწყობა.
— ახლავე გამოგიგზავნით არყიან მორიგე ჯგუფს.

* * *

— **სამწუხაროდ,** ბინის გაყიდვას ვერ ვახერხებ.
— რატომ? შესანიშნავი ბინა გაქვს. თანაც კარგ ადგილზე.
— მშობლები მუდამ სახლში არიან.

* * *

— **რატომ** გაქვს თვალი ჩალურჯებული?
— გოგოს გამო ვიჩხუბე.
— ვისთან?
— ჩემს ცოლთან...

## კადრი



**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე